

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 მარტის №01-06/03

მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერი: მამუკა თურმანიძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს 2025 წლის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე: ამირან ცინცაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ეკა გოგუაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონების - შპს „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის მართვის უფლებით, ვადით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: გულადი წითელაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

5. ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსით (M3 კატეგორია) მგზავრთა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსის მოძრაობის მარშრუტების, სამგზავრო ტარიფებისა და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: გულადი წითელაძე,

შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს დირექტორი: მალხაზ დიასამიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

6. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე



2025 წელი

ქედის მუნიციპალიტეტის მერია

მერი - მამუკა თურმანიძე


ანგარიში

WWW.KEDA.GOV.GE

ბიუჯეტი

2025 წელი

2025 წელს მთლიანი ბიუჯეტის შესრულება 93,46 % -ია, გრანტები 86,75 %, მათ შორის კაპიტალური ტრანსფერით შესრულება 81,34 % -ს შეადგენს



2025 წელი

ქედის კულტურის ცენტრი

პროექტი ითვალისწინებს კულტურის ცენტრის შიდა და გარე სრულ სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ასევე, შენობა ადაფტირებული იქნება შშმ პირებისათვის, მოეწყობა ლიფტი.

პროექტი არის გარდამავალი, სამუშაოები 2025 წელს დაიწყო და მიმდინარე წელს დასრულდება.

ბიუჯეტი: 4 652 041 ლარი.



სპორტული ინფრასტრუქტურა

მიმდინარე წელს 5 სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია განხორციელდა.



სრული რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია ჩატარდა სოფელი აქუცის, ხარაულის, უჩხითის, მახუნცეთის და დაბა ქედაში 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე მინი სპორტულ მოედნებს.




ბიუჯეტი: 748 121 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

- მზა ბეტონის შექმნა
ბიუჯეტი: 264 587 ლარი.
- გარე განათების სისტემის
მონყობა
ბიუჯეტი: 406 210 ლარი.

სულ: 670 807 ლარი.



ძველი სახლის ახლით ჩანაცვლების პროგრამა

პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე წელს 4 ახალი სახლი აშენდა.



პროგრამა 2019 წლიდან ამოქმედდა და დღეის მდგომარეობით 22 სახლი აშენდა.

ბეტონის ტიპური საცხოვრებელი სახლები აშენდა სოფელ კვაშტაში, სირაბიძეებში, უჩხითში და ცხმორისში.



ბიუჯეტი: 366 993 ლარი.



მენყერსანინაალმდეგო ღონისძიებები

მენყერსანინაალმდეგო ღონისძიებების
ფარგლებში სულ 7 პროექტი
განხორციელდა.

პროგრამის ფარგლებში მოეწყო
სანიაღვრე არხები, ფერდსამაგრი და
საყრდენი კედლები.



პროგრამის ბიუჯეტი: 457 984 ლარი.



2025 წელი

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა

პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია
ოთხ ობიექტზე განხორციელდა:

ფასადის რეაბილიტაცია დაბა ქედაში,
რუსთაველის ქუჩა N24-ში და
წერეთლის ქუჩა N10 - ში;

რეაბილიტირდა სოფელ პირველ მაისში
მრავალბინიანი სოციალური სახლის
ფასადი;

დაბა ქედაში, აღმაშენებლის N12 - ში
მდებარე მრავალბინიანი
საცხოვრებელი სახლის სახურავის
რეაბილიტაცია.

ბიუჯეტი: 233 075 ლარი.




შიდა სასოფლო-საუბნო გზები

შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაციის ფარგლებში 28 ღონისძიება განხორციელდა.

განხორციელდა ფერდსამაგრი კედლების და გაბიონების მოწყობა, საყრდები კედლების მშენებლობა, სანიაღვრე და სანრეტი არხების მოწყობა, მილხიდების მშენებლობა და გზის სავალი ნაწილების ბეტონის საფარით დაფარვა.



ბიუჯეტი: 2 145 685 ლარი.



სასმელი წყლის სისტემა

წყლის სისტემის რეაბილიტაციის ფარგლებში სულ 6 ღონისძიება განხორციელდა:

სოფელ ზენდიდშირკინა-ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა;

სოფელ ოქტომბრის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური მილსადენის და რკინა-ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა;

სოფელ კვაშტის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის, მაგისტრალური მილსადენის და რკინა-ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა;

სოფელ ახოს ნაჭვავრის უბნის მაგისტრალური მილსადენის და რკინა-ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა;

სოფელ ახოში ბაზალეთის უბნის რკინა-ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა;

სოფელ ახოში ძერვენახის უბნის რკინა-ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა.

ბიუჯეტი: 761 031 ლარი.



სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები

1

დაბა ქედის ცენტრში კიბის მოწყობა

2

სოფელ ზენდიდში ბილიკის მოწყობა

3

სოფელ ქვედა ბზუბზუში ბილიკის მოწყობა

4

დაბა ქედაში, თამარ მეფის ქუჩის პირველ ჩიხში ღობის მოწყობა



ბიუჯეტი: 336 798 ლარი.

სხვა ინფრასტრუქტურული პროექტებო

მთების ელექტროფიკაცია

გომისა და ტბათის მთაზე განხორციელდა მაღალი ძაბვის 10 კვტ - იანი და 0.04 კვტ - იანი შიდა ქსელის სამუშაოები.

ბიუჯეტი: 1 418 147 ლარი.

სკვერი

დაბა ქედაში, 9 აპრილის ქუჩაზე მოეწყო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საზოგადოებრივი სივრცე.

ბიუჯეტი: 283 710,95 ლარი.

სოფლის სახლის მშენებლობა

სოფელ კორომხეთში აშენდა სოფლის სახლი. შეიქმნა მოსახლეობისათვის სივრცე საზოგადოებრივ ღონისძიებებზე დასასწრებად.

ბიუჯეტი: 101 582, 25 ლარი.

სამსახურმა სულ 16 მიზნობრივი პროგრამა განახორციელა: 4 ჯანდაცვის და 12 სოციალური პროგრამა.

 ბიუჯეტი: 3 707 000 ლარი. ✓ პროგრამებით ჯამში 4 600-ზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა.

➔ ასევე, ქედის მუნიციპალიტეტში მოქმედებს მერის სარეზერვო ფონდი, რომლითაც 397-მა მოქალაქემ ისარგებლა.

 ბიუჯეტი: 200 210 ლარი.

შუამდგომლობა


➔ საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამაში ჩასართავად შუამდგომლობა გაენია 149 ოჯახს, მათ შორის 11 სახლდამწვარ ოჯახს.

➔ გეოლოგიური სამსახურის მიუერ შესწავლილის 495 ოჯახი.

➔ საცხოვრებლით უზრუნველყოფით პროგრამაში ჩასართავად შუამდგომლობა გაენია 105 ოჯახს. კატეგორია მიენიჭა 60 ოჯახს. ქონების განკარგვის შეზღუდვის ხელშეკრულება გაუფორმდა 70 ოჯახს.

➔ სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური დახმარების ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით შუამდგომლობა გაენია 46 განმცხადებელს.

✓ სამსახურში შემოსული და გასული კორესპოდენცია 15 184-ს შეადგენს.



შესყიდვები

- სულ წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა 10 173 302 ლარი.
- ელექტრონული ტენდერის გზით სულ გაფორმდა 94 ხელშეკრულება.
- გამარტივებული შესყიდვით გაფორმდა 73 ხელშეკრულება. კონსოლიდირებული ტენდერის.
- კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით 49 ხელშეკრულება.
- სულ გაფორმდა 216 ხელშეკრულება.

ქონება

- საპრივატიზაციო ნუსხის შესაბამისად პრივატიზებულია 2 (ორი) ერთეული ქონება, რითაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა დამატებით შემოსავლის სახით მიიღო 5643,23 ლარი.
- სხვადასხვა უწყებებს უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით გადაეცათ 16 ერთეული მოძრავი თუ უძრავი ქონება.
- საკუთრებაში მივიღეთ სხვა უწყებებისგან ერთი ერთეული მოძრავი და ორი ერთეული უძრავი ქონება.

განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საკითხთა პროგრამები

2025 წელი

➔ კულტურული ღონისძიებების ქვეპროგრამა - კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა განხორციელდა 37 ღონისძიება.

ბიუჯეტი: 99 741 ლარი.



➔ განათლების ხელშეწყობა - ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ აბიტურიენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნობის კანდიდატ მოსწავლეთა და სტუდენტთა დახმარება.

2025 წელს ქვეპროგრამით ისარგებლა III-მა ბენეფიციარმა.

ბიუჯეტი: 87 700 ლარი.

➔ სპორტისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობის განვითარება.


განხორციელდა 59 ღონისძიება.

ბიუჯეტი: 263 700 ლარი.

ევროპის ჩემპიონატში სამმა სპორტსმენმა მოიპოვა ოქროს მედალი.

ფეხბურთის გუნდი ქალაქ ანტალიაში საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა და II ადგილი მოიპოვა.

ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლის შედეგები: I ადგილი - 43 მედალი, II ადგილი - 48 მედალი, III ადგილი - 60 მედალი.



➔ ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობის პროგრამა

2025 წელში პროგრამით 9 ქალი მეწარმე დაფინანსდა.

ჯამში პროგრამის ფარგლებში 39 ქალი დაფინანსდა.



➔ „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა“;

საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში 5 ღონისძიება განხორციელდა.

➔ თანასწორობის ხელშეწყობა/ცნობიერების ამაღლების მიზნობრივი პროგრამა;

„თანასწორობის ხელშეწყობისა და ცნობიერების ამაღლების ფარგლებში 4 ღონისძიება განხორციელდა.

ბიუჯეტი: 60 000 ლარი.

✓ ქედის მუნიციპალიტეტის კანცელარიაში 2025 წელს დოკუმენტბრუნვის მიხედვით 23 927 კორექსპოდენცია რეგისტრირებული.

სულ შემოსულია 11 160 განაცხადი. **აქედან,**

განცხადებები - 6 109;

კოლექტიური განცხადება - 287;

✓ სასამართლო გზავნილი - 25;

✓ წერილები - 4 739

✓ სულ გასულია - 8 701 კორექსპოდენცია.

✓ სამსახურეობრივი კორექსპოდენცია - 4 066.



→ ა(ა)იპ კულტურის ცენტრი მუშობს 5 ძირითადი მიმართულებით:

- ✓ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა
- ✓ საბიბლიოთეკო მუშაობა;
- ✓ მხატვრულ -შემოქმედებითი საქმიანობა;
- ✓ ფოლკლორული მუშაობა;
- ✓ მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მუშაობა.

მიღწევები

→ ქედის სალოტბარო სკოლამ „სასკოლო ოლიმპიადაში“ პირველი ადგილი მოიპოვა.

→ ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „იაგუნდმა“ ქალაქ თბილისში გამართულ ფესტივალზე „ნანინა“ მიიღო მონაწილეობა.

→ სახალხო ანსამბლმა „ბეთლემმა“ პროექტ „ნიჭიერში“ მიიღო მონაწილეობა.



სამსახურმა განახორციელა 57 ღონისძიება, 1 ფოლკლორული ექსპედიცია და 2 ტურისტული ლაშქრობა

ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი

შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრმა 11 ღონისძიება განახორციელა.



სახალხო ზეიმი შემოდგომა ქედაში;



ინფო ტური, სალაშქრო ფესტივალები;



ქედის პოპულარიზაცია ქვეყნის შიგნით;



ქედის პოპულარიზაცია ქვეყნის გარეთ;



ტრენინგები წიგნიერების ცენტრში.

ბიუჯეტი: 589 400 ლარი.



ქედის ბაგა-ბალები



ქედის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი.



დაბა ქედის NI და დანდალოს ბაგა-ბალებმა მოიპოვა ავტორიზაცია 6 წლის ვადით.



ქედის ბაგა-ბალების გაერთიანებამ ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის შეიძინა 23 დასახელების საბავშვო ლიტერატურა.



4 ბაგა-ბაღში (ქედის NI, დანდალოს, ზუნდაგის, მახუნცეთის) და და ბაგა-ბალების გაერთიანების ოფისში განახლდა ტექნიკა.



8 საბავშვო ბაღში (პირველ მაისის, დოლოგნის, მერისის, ნამლისევის, ქედის NI, დანდალოს, ვაიოს, წონიარისის) განახლდა ავეჯი.



გადამზადდა 20 აღმზრდელი, ხოლო ტრენინგი გაიარა 15 -მა ხელმძღვანელმა და 62 -მა აღმზრდელმა.

ქედის სახელოვნებო სკოლა



სახელოვნებო სკოლაში 5 განყოფილება ფუნქციონირებს, ჰყავს 3 ანსამბლი.
სკოლაში 340 მოსწავლე ირიცხება.



სკოლა არაერთ კონკურსსა და ფესტივალებში ღებულობს მონაწილეობას. მოპოვებული აქვთ 2 ოქროს და 3 გრმპრი და პირველი ხარისხის დიპლომები.



ანსამბლი „საუნჯე“ იმყოფებოდა ბაკურიანში ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალ „ბორჯომ-ბაკურიანი 2025“



ანსამბლი „ჩანგი“ და ანსამბლი „საუნჯე“ მონაწილეობდა ქ.ბათუმში, სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადაში



ქ.ბათუმი-ზ.ფალიასვილის სახელობის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზი, ფესტივალი-კონკურსი „რონდო კლასიკა“ მონაწილეობა მიიღო ქედის საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეებმა.



ანსამბლი „ჩანგი“ მონაწილეობდა მცხეთაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე „მომავალი ჩვენია“.

მადლობა ყურადღებისთვის

ქედის მუნიციპალიტეტის მერია

ტელ.: 0 425 25 00 01

ელ-ფოსტა: KEDAMUNICIPALITY@GMAIL.COM


მის.: მ. კოსტავას ქ. 3, დაბა ქედა, აჭარა,
საქართველო



WWW.KEDA.GOV.GE

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს 2025 წლის მუშაობის შესახებ

SAKREBULO OF KEDA MUNICIPALITY



**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში
საკრებულოს მუშაობის შესახებ**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო არის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითად მიმართულებას.

მუნიციპალიტეტის საკრებულო აირჩევა 4 წლის ვადით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2025 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე მოქმედმა საკრებულომ აქტიურად იმუშავა ადგილობრივი განვითარების, ბიუჯეტის შესრულებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულების მხრივ.

2025 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებებით ჩატარდა.

აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებზე, 4 წლის ვადით, ამომრჩევლებმა აირჩიეს ქედის მუნიციპალიტეტის – საკრებულოს 24 წევრი. აქედან, 9 წევრი – ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო 15 წევრი – პროპორციული წესით ქედის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

2025 წლის 30 ოქტომბერს შედგა ქედის მუნიციპალიტეტის მიმდინარე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა. საკრებულომ თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, ხმათა უმრავლესობით აირჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები.

პირველივე სხდომაზე საკრებულოს წევრებმა წარმოადგინეს განცხადება ფრაქციის რეგისტრაციის შესახებ. შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრირებული იქნა ორი ფრაქცია: „ქართული ოცნება“ და „ხალხის ძალა“.

კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით განისაზღვრა საკრებულოს კომისიათა შემადგენლობები და არჩეული იქნა კომისიის თავმჯდომარეები.

საკრებულოს უფლებამოსილება და საქმიანობა განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.

საკრებულოს ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე (კანონიერება, საჯაროობა, კოლეგიურობა, დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა, წარმომადგენლობითი პრინციპულობის დაცვა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება, თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა, ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე) ახორციელებს თავის საქმიანობას.



საკრებულო, მისი ორგანოები და თანამდებობის პირები თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობენ და მათი უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

საკრებულოს ბიურო, რომლის შემადგენლობაშიც საკრებულოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, კომისიებისა და ფრაქციების ხელმძღვანელები შედიან, მუნიციპალიტეტის საქმიანობის მთავარ მაკოორდინირებელ ორგანოს წარმოადგენს. ბიურო უზრუნველყოფს საკრებულოს მუშაობის სტრატეგიულ დაგეგმვას, სხდომების დღის წესრიგის მომზადებასა და კომისიების საქმიანობის ზედამხედველობას. ამასთანავე, იგი ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა საქმიანობის კონტროლს, განსაზღვრავს სამართლებრივი აქტების განხილვის ვადებს და იღებს მნიშვნელოვან ორგანიზაციულ თუ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს საკრებულოს ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით შექმნილია კომისიები.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

5 მუდმივმოქმედი კომისია

- ❖ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია
- ❖ საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
- ❖ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია
- ❖ ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია
- ❖ სოციალურ საკითხთა კომისია

2 ფრაქცია

- ❖ ფრაქცია „ქართული ოცნება“
- ❖ ფრაქცია „ხალხის ძალა“

საკრებულოს კომისიების საქმიანობა

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ 2025 წლის საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის 8 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 15 საკითხი. აღსანიშნავია კომისიის მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილებები ისეთ სამართლებრივი აქტის პროექტებზე, როგორცაა:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
2. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2024 წლის ანგარიშის მოსმენა - განხილვა.
3. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტი;
4. „ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტი;
5. „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ 2025 წლის 01 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტი;
6. „ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტი.

2025 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის მიერ ჩატარებულ 10 სხდომაზე განხილული იქნა 13 საკითხი, მათ შორის:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში“;
2. ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და 2025 წლის ყოველკვარტალური შესრულების ანგარიშები;
3. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2025 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტი;
4. ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტი.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ 2025 წლის საანგარიშო პერიოდში ჩატარა 7 კომისიის სხდომა, რომელზეც განხილული იქნა 9 საკითხი.

კომისიის გადაწყვეტილებით, საკრებულოს სხდომაზე ინიცირებული იქნა და დამტკიცდა გეოგრაფიული ობიექტების სახელდება:

1. სოფელ წონიარისის მე-12 ქუჩა და მე-12 ქუჩის I ჩიხი;
2. გაგრძელდა სოფელ კოკოტაურის მე-5 ქუჩა;
3. სოფელ საბადურში გაგრძელდა მე-3 ქუჩა, დამტკიცდა: მე-4 ქუჩა, მე-4 ქუჩის I და II ჩიხი და მე-5 ქუჩა.

2025 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის მიერ ჩატარებული იქნა კომისიის 6 სხდომა, განხილულ იქნა 12 საკითხი. მათ შორის იყო მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებები მუნიციპალური ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების სახელმწიფო დაწესებულებებისთვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2025 წლის საანგარიშო პერიოდში გამართა 8 სხდომა და განიხილა 11 საკითხი, მათ შორის:

1. „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი აწ/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
2. ა(ა)იპ „ქედის კულტურის ცენტრი“-ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;
3. „ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტი;
4. შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;
5. ა(ა)იპ „ქედის სახელოვნებო სკოლა“-ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

საკრებულოს აპარატის ორგანიზაციული საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი. საკრებულოს აპარატის ამოცანებია: საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. აპარატის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარე, ხოლო აპარატს ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი.



საკრებულოს საქმიანობის საერთო მონაცემები

2025 წელს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ჩატარდა 15 საკრებულოს სხდომა და ბიუროს 14 სხდომა.

საკრებულოს სხდომებზე განხილულ იქნა სულ: 80 საკითხი, მათ შორის მიღებული იქნა 60 განკარგულება და 20 დადგენილება.

საკრებულოს კომპეტენციების გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები ქედის მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, მათ შორის:

- ურბანული განვითარება;
- ტრანსპორტი;
- ეკოლოგია და გამწვანება;
- სოციალური უზრუნველყოფა და ჯანდაცვა;
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა;
- ეკონომიკური პოლიტიკა;
- მუნიციპალური ქონების მართვა;
- გეოგრაფიული ობიექტების სახელდება.

2025 წლის სანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრების მიერ ინიცირებული და საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებული იქნა 13 სამართლებრივი აქტის პროექტი. აქედან:

- საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ინიცირებული 5;
- კომისიის თავმჯდომარეების მიერ ინიცირებული 2;
- ფრაქციის თავმჯდომარის მიერ ინიცირებული 6.

წი ბიუჯეტის ფორმირება და ფინანსური მართვა

გასული წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს მუნიციპალური ბიუჯეტის რაციონალური და ეფექტიანი განკარგვა წარმოადგენდა. ჩვენი გადაწყვეტილებების საფუძველზე, საბიუჯეტო რესურსების მობილიზება მოხდა იმ სტრატეგიული მიმართულებებისკენ, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განახლებასა და მუნიციპალური სერვისების ხარისხის ზრდასთან. ხაზგასასმელია, რომ ფინანსური მართვის პროცესი წარიმართა კონტროლისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით, რაც უზრუნველყოფს თითოეული საბიუჯეტო ლარის მიზნობრივ ხარჯვას ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარების სასიკეთოდ.

2025 წელს მუნიციპალიტეტის მთავარმა ფინანსურმა დოკუმენტმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. იგი თავდაპირველი რედაქციით 29 მილიონ 297 500 ლარით განისაზღვრა, ხოლო შემდგომში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, რაც ძირითადად მისაღები შემოსულობების პროგნოზების გათვალისწინებით განხორციელდა, 32 მილიონ 559 658 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2026 წლის ბიუჯეტი 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაზრდილია. შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის აუცილებელი კიდევ უფრო მეტი, ახალი სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.

მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი შემდეგ მიმართულებებზე გადანაწილდა:

- ✦ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა
- ✦ ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული სახლების ჩანაცვლება
- ✦ ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება
- ✦ ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა
- ✦ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება

- ✦ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
- ✦ განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა
- ✦ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

2025 წლის 26 დეკემბერს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N17 დადგენილებით დამტკიცდა ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი, რომლის მოცულობა 32 მილიონ 776 400 ლარი შეადგინა.

სოციალური საკითხები და მოსახლეობის მხარდაჭერა

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოციალური პოლიტიკის გაძლიერებასა და იმ პროგრამების მხარდაჭერას, რომლებიც ორიენტირებულია მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების დაცვასა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური პროგრამები და ჯანდაცვის ინიციატივები გასულ წელს გახდა მნიშვნელოვანი გარანტი ჩვენი თანამოქალაქეებისთვის საჭირო სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით. ჩვენი მიზანია, თვითმმართველობის მიერ გაწეული მზრუნველობა იგრძნოს თითოეულმა ოჯახმა, რისთვისაც სოციალური პროგრამების დახვეწა და მათი მასშტაბების გაზრდა მომავალშიც ჩვენი საქმიანობის ძირითად მიმართულებად დარჩება.

2025 წელს ქედის მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით 16 მიზნობრივი პროგრამა განხორციელდა. ამ კუთხით ჯამურმა ბიუჯეტმა 3.7 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, რის შედეგადაც დახმარება 4 600-ზე მეტმა მოქალაქემ მიიღო. ცალკე აღნიშვნის ღირსია მერის სარეზერვო ფონდი, რომლიდანაც დამატებით 200 210 ლარი გამოიყო 397 ბენეფიციარისთვის.

გარდა პირდაპირი დაფინანსებისა, მუნიციპალიტეტმა აქტიურად იმუშავა შუამდგომლობებზე: დახმარება გაეწია 254 ოჯახს საცხოვრებელი უზრუნველყოფის ნაწილში (მათ შორის 11 სახლ დამწვარ ოჯახს), ხოლო 495 ოჯახისთვის მოხდა გეოლოგიური დასკვნების მომზადება. სამუშაო პროცესის მასშტაბურობაზე მეტყველებს დოკუმენტ ბრუნვაც — წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამუშავდა 15 000-ზე მეტი წერილი.

- 💰 3.7 მლნ+ ₾ — სოციალური და ჯანდაცვის ბიუჯეტი.
- 👤 4 600+ ბენეფიციარი — პროგრამებით მოსარგებლე მოქალაქეები.
- 🏠 254 ოჯახის შუამდგომლობა — საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე.
- 🏗️ 495 გეოლოგიური კვლევა — უსაფრთხოების მონიტორინგის ფარგლებში.
- ✉️ 15 184 კორესპონდენცია — მაღალი ადმინისტრაციული აქტივობა.

2025 წელი ქედის მუნიციპალიტეტისთვის კულტურული და სპორტული თვალსაზრისით განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო. კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად გამოიყო 99 741 ლარი, რის ფარგლებშიც 37 მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა. პრიორიტეტია ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისება — განათლების ხელშეწყობის პროგრამით 111-მა წარმატებულმა ახალგაზრდამ ისარგებლა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 87 700 ლარი მიიმართა.

განსაკუთრებით საამაყოა სპორტული მიღწევები. სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში ჩადებულმა 263 700 ლარმა კონკრეტული შედეგები გამოიღო: ჩვენმა სამმა სპორტსმენმა ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედლები მოიპოვა, ხოლო საფეხბურთო გუნდმა ანტალიის საერთაშორისო ტურნირზე II ადგილი დაიკავა. ჯამში, ადგილობრივი სასპორტო სკოლის მოსწავლეებმა წლის განმავლობაში სხვადასხვა სინჯის 151 მედალი მოიპოვეს, რაც ჩვენი სწორი სპორტული პოლიტიკის დასტურია.

ინფრასტრუქტურის განვითარება და ურბანული ტრანსფორმაცია

„2025 წელს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერა და მათი დროული იმპლემენტაცია უალტერნატივო პრიორიტეტს წარმოადგენდა. ჩვენი მიზანი იყო ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მუნიციპალური სერვისები თანაბრად ხელმისაწვდომი იქნებოდა როგორც ცენტრალურ დასახლებებში, ისე მაღალმთიან სოფლებში.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციასა და გარე განათების თანამედროვე სისტემების დანერგვას. საკრებულოს მიერ დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებები მიიმართა არა მხოლოდ კოსმეტიკური განახლებისკენ, არამედ ისეთი კაპიტალური მშენებლობებისკენ, რომლებიც მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო და ლოგისტიკურ გამტარუნარიანობას ზრდის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა წყალმომარაგებისა და სანიაღვრე სისტემების მოწესრიგების კუთხით, რაც პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის უსაფრთხოებასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასთან.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარების ფარგლებში, 2025 წელს განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სასმელი წყლის სისტემების მოდერნიზებაზე. 761 031 ლარის ინვესტიციით, ჩვენ შევძელით ისეთი კრიტიკული მნიშვნელობის პროექტების განხორციელება სოფლებში: ზენდიდი, ოქტომბერი, კვამტა და ახო, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში აწუხებდა ადგილობრივ მოსახლეობას.

მოეწყო თანამედროვე რკინა-ბეტონის რეზერვუარები და მაგისტრალური მილსადენები, რაც გარანტიაა იმისა, რომ ჩვენი მოქალაქეები უზრუნველყოფილნი იქნებიან ხარისხიანი სასმელი წყლით. ეს პროექტები არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ გარდაიქმნება საბიუჯეტო რესურსი ხალხისთვის საჭირო და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან შედეგად. მომავალ წელს ჩვენ ვგეგმავთ კიდევ უფრო გავზარდოთ დაფინანსება ამ მიმართულებით, რათა წყალმომარაგების პრობლემა საბოლოოდ აღმოიფხვრას მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში.

ჩვენი ხედვით, გამართული ინფრასტრუქტურა არის მთავარი წინაპირობა მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოსაზიდად და ტურისტული პოტენციალის რეალიზებისთვის, რისთვისაც მომავალ წელს კიდევ უფრო მასშტაბურ პროექტებს ჩავუყრით საფუძველს.

სტატისტიკურ მონაცემები საკრებულოს მიერ გასული თორმეტი თვის მანძილზე გაწეული საქმიანობის შესახებ

მონაცემები საკრებულოს ბიუროს სხდომების შესახებ

- საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოს ბიუროს სხდომების რაოდენობა - 14;
- საკრებულოს ბიუროს მიერ განხილული საკითხების რაოდენობა - 87;

მონაცემები საკრებულოს სხდომების შესახებ

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 15. მათ შორის:

- მორიგი სხდომების რაოდენობა - 9;
- რიგგარეშე სხდომების რაოდენობა - 6;
- დახურული სხდომების რაოდენობა: 0

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სხდომებზე განხილული საკითხები, მათ შორის:

- ✦ მორიგ სხდომაზე განხილული საკითხების რაოდენობა- 66;
- ✦ რიგგარეშე სხდომაზე განხილული საკითხების რაოდენობა - 14;
- ✦ დახურულ სხდომაზე განხილული საკითხების რაოდენობა: 0
- ✦ საანგარიშო პერიოდში მიღებული განკარგულების რაოდენობა - 60;
- ✦ საანგარიშო პერიოდში მიღებული დადგენილების რაოდენობა - 20;
- ✦ საანგარიშო პერიოდში მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების რაოდენობა - 80;
- ✦ საანგარიშო პერიოდში უარყოფითი გადაწყვეტილებების რაოდენობა - 0;

მონაცემები საკრებულოში შემოსული განცხადებების რაოდენობის შესახებ

o საკრებულოში შემოსული განცხადებებისა და წერილების რაოდენობა 129;

o საკრებულოში შემოსული მოქალაქეთა კოლექტიური განცხადებების რაოდენობა - 0;

მონაცემები საკრებულოში მოქალაქეთა მიღების შესახებ

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა - 37;

საკრებულოს სხდომაზე მოქალაქეთა მიერ გაკეთებული განცხადებების რაოდენობა - 0;

საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიღებული მოქალაქეთა რაოდენობა - 265;

 ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის შეჯამება და პერსპექტივები

2025 საანგარიშო პერიოდში ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა გამოირჩეოდა მაღალი პროდუქტიულობით, ინსტიტუციური მდგრადობითა და შედეგზე ორიენტირებული მიდგომებით. ჩვენი მუშაობის წარმატების არსს წარმოადგენდა მჭიდრო, კონსტრუქციული და პარტნიორული თანამშრომლობა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან. სწორედ ამ კოორდინირებულმა ძალისხმევამ და საერთო ხედვამ მოგვცა შესაძლებლობა, ოპერატიულად გვეპასუხა ადგილობრივი გამოწვევებისთვის და მიგველო ისეთი პრინციპული გადაწყვეტილებები, რომლებიც საფუძვლად დაედო მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ ტრანსფორმაციას.

ერთობლივი მუშაობის პროცესში დამტკიცებული თითოეული სამართლებრივი აქტი თუ მუნიციპალური პროგრამა პირდაპირ აისახა მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე, ინფრასტრუქტურის განახლებაზე და სოციალური ფონის სტაბილურობაზე. ჩვენ შევძელით დაგვეწერა მოქალაქეზე ორიენტირებული მართვის მოდელი, სადაც მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები სრულად თანხვედრაშია ჩვენი ხალხის რეალურ საჭიროებებთან.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, 2025 წლის მიღწევები ჩვენთვის მხოლოდ მყარი პლატფორმაა უფრო მასშტაბური რეფორმების განსახორციელებლად. მომავალ პერიოდში საკრებულოს პრიორიტეტად რჩება ეკონომიკური თვითმყოფადობის გაძლიერება, ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური ათვისება და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ახალი მექანიზმების დანერგვა. ჩვენ ვაპირებთ კიდევ უფრო გავაფართოოთ სოციალური დაცვის ქსელი და განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ ახალგაზრდული ინიციატივების წახალისებას, რათა შევქმნათ გარემო, სადაც თითოეულ ქედელს ექნება განვითარებისა და თვითრეალიზაციის თანაბარი შესაძლებლობა. ჩვენი მიზანი უცვლელია - ქედის მუნიციპალიტეტის, თანამედროვე და ძლიერ თვითმმართველ ერთეულად ჩამოყალიბება.

წარმოდგენილი ანგარიში სრულად ასახავს საკრებულოს გასული წლის საქმიანობას და იმ გამჭვირვალე გადაწყვეტილებებს, რომლებიც ორიენტირებული იყო მუნიციპალიტეტის მდგრად პროგრესზე. თითოეული გადადგმული ნაბიჯი ემსახურებოდა ჩვენი თანამოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ქმნის მყარ საფუძველს მუნიციპალიტეტის შემდგომი გაძლიერებისა და გრძელვადიანი განვითარებისთვის.

დასასრულს, მსურს კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ 2025 წლის განმავლობაში საკრებულოს მიერ გაწეული ყოველი საქმიანობა, მიღებული გადაწყვეტილება და მხარდაჭერილი პროგრამა ეყრდნობოდა ერთადერთ მიზანს — ქედის მუნიციპალიტეტის განვითარებასა და ჩვენი თანამოქალაქეების კეთილდღეობას. ჩვენ მიერ შექმნილი საფუძველი გვაძლევს იმედს, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო მასშტაბურ და წარმატებულ პროექტებს განვახორციელებთ.





ქედის მუნიციპალიტეტის 2025
წლის ბიუჯეტის შესრულების
მიმოხილვა



ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

I თავი. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2025 წლის დამტკიცებული გეგმა	2025 წლის დაზუსტებული გეგმა	2025 წლის საკასო შესრულება	შესრულების %
შემოსავლები	32 559 658	32 559 658	31 163 885	96%
გადასახადები	19 751 500	19 751 500	19 928 719	101%
გრანტები	12 232 158	12 232 158	10 618 380	87%
სხვა შემოსავლები	576 000	576 000	616 786	107%
ხარჯები	23 192 425	23 201 881	22 866 431	99%
შრომის ანაზღაურება	8 549 997	8 550 997	8 511 499	100%
საქონელი და მომსახურება	4 712 984	4 710 816	4 606 606	98%
პროცენტი	2 900	2 900	2 885	99%
სუბსიდიები	4 009 050	4 009 050	3 886 025	97%
სოციალური უზრუნველყოფა	1 822 693	1 977 545	1 962 293	108%
სხვა ხარჯები	4 094 801	3 950 573	3 897 124	95%
საოპერაციო სალდო	9 367 233	9 357 777	8 297 454	89%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9 835 233	9 945 233	8 136 662	83%
ზრდა	9 865 233	9 975 233	8 141 062	83%
კლება	30 000	30 000	4 400	15%
ზრდა	0	0	134 002	#DIV/0!



სესხები	0	0	134 002	#DIV/0!
კლება	496 000	615 456	0	0%
კლება	28 000	28 000	26 790	96%
საშინაო	28 000	28 000	26 790	96%
ბალანსი	0	0	0	0

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები,
გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

#	შემოსულობების დასახელება	2025 წლის გეგმა	საკასო შესრულება	შესრულება%
1	შემოსულობები	32 589 658	31 168 285	95,64%
1,1	შემოსავლები	32 559 658	31 163 885	95,71%
1,2	არაფინანსური აქტივების კლება	30 000	4 400	14,67%
2	გადასახდელები	33 205 114	31 034 283	93,46%
2,1	ხარჯები	23 201 881	22 866 431	98,55%
2,2	არაფინანსური აქტივების ზრდა	9 975 233	8 141 062	81,61%
2,3	ვალდებულებების კლება	28 000	26 790	95,68%
	ნაშთის ცვლილება	-615 456	134 002	

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის
ბიუჯეტის შემოსულობები

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 31 163 885 ლარი, რაც შემოსულობების 2025 წლის გეგმიური მაჩვენებლის 95,71%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 19 928 719 ლარი (შემოსულობების 63,95%),




გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე – 10 618 380 ლარი (შემოსულობების 34,07%), სხვა შემოსავლებზე - 616 786 ლარი (შემოსულობების 1,98%) და არაფინანსური აქტივების კლებაზე - 4 400 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის
ფაქტიური შემოსულობები

#	შემოსულობების დასახელება	საკასო შესრულება	წილი მთლიან შემოსულობებში
1	შემოსავლები	31 163 885	100%
1,1	გადასახადები	19 928 719	63,95%
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	10 618 380	34,07%
1,3	სხვა შემოსავლები	616 786	1,98%


შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:





#	შემოსულობების დასახელება	2025 წლის გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულება%
1	შემოსავლები	32 559 658	31 163 885	-1 395 773	95,71%
1,1	გადასახადები	19 751 500	19 928 719	177 219	100,90%
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	12 232 158	10 618 380	-1 613 778	86,81%
1,3	სხვა შემოსავლები	576 000	616 786	40 786	107,08%
2	არაფინანსური აქტივების კლება	30 000	4 400	-25 600	14,67%
ჯამი		32 589 658	31 168 285	-1 421 373	95,64%


ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულება
გეგმასთან მიმართებაში






ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის
შემოსულობების დინამიკა (ცხრილი/გრაფიკები)

#	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი
1	შემოსავლები	9 510 301	10 105 754	11 670 892	12 355 951	16 032 888	18 818 507	24 296 481	25 962 125	31 163 885
1,1	გადასახადები	943 743	905 920	6 549 917	7 127 711	9 484 721	12 902 820	15 382 648	17 085 507	19 928 719
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	8 274 920	8 543 615	4 846 472	4 991 643	5 997 007	5 287 900	8 330 251	8 355 506	10 618 380
1,3	სხვა შემოსავლები	291 638	656 219	274 503	236 597	551 160	627 787	583 582	521 112	616 786
2	არაფინანსური აქტივების კლება	24 377	9 065	42 167	122 530	31 516	14 775	9 425	19 575	4 400
სულ ჯამი		9 534 678	10 114 819	11 713 059	12 478 481	16 064 404	18 833 282	24 305 906	25 981 701	31 168 285






შემოსულობები




2017 წლის ფაქტი 2018 წლის ფაქტი 2019 წლის ფაქტი 2020 წლის ფაქტი 2021 წლის ფაქტი 2022 წლის ფაქტი 2023 წლის ფაქტი 2024 წლის ფაქტი 2025 წლის ფაქტი

შემოსულობები



■ გადასახადები ■ გრანტები და ფინანსური დახმარება ■ სხვა შემოსავლები ■ არაფინანსური აქტივების კლება



შემოსავლები

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 32 589 658 ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 31 168 285 ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 95.64%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.


გადასახადები

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 19 928 719 ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის _ 19 751 500 ლარის 100.90%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსავლებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 63.95%-ს.



ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო
შემოსავლების დინამიკა (ცხრილი/გრაფიკი)

№	შემოსავლის სახე	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	შესრულება			
												2025 წ. გეგმასთან		2024 წ. ფაქტთან	
												გადახრა (ლარი)	%	გადახრა (ლარი)	%
2	დამატებული ღირებულების გადასახადები			6 445 888	6 792 099	9 155 635	12 461 196	15 002 400	16 621 513	19 021 500	19 097 203	75 703	100,40%	2 475 690	114,89%
3	ქონების გადასახადი	541 040	554 516	83 286	335 612	329 086	441 624	400 000	463 994	730 000	831 516	42 461	113,91%	367 522	179,21%
3,1	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი	1 363	3 069	3 361	1 646	2 903	3 891	3 000	5 776	3 000	11 358	8 358	378,60%	5 582	196,63%
3,2	საწარმოთა ქონების გადასახადი	461 003	472 512	-7 950	244 838	257 294	361 406	367 000	384 873	697 000	731 103	34 103	104,89%	346 231	189,96%
3,3	მიწის გადასახადი	78 673	78 934	87 875	89 128	68 888	76 327	30 000	73 345	30 000	89 054	59 054	296,85%	15 709	121,42%
3,3,1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	76 878	76 498	84 553	85 843	64 913	70 747	30 000	65 358	30 000	76 389	46 389	254,63%	11 030	116,88%
3,3,2	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	1 796	2 437	3 322	3 284	3 976	5 580	0	7 987	0	12 666	12 666	#DIV/0!	4 679	158,58%
სულ		541 040	554 516	6 529 174	7 127 711	9 484 721	12 902 820	15 402 400	17 085 507	19 751 500	19 928 719	118 164	111,10%	2 843 211	156,90%





საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადი - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2025 წლის გეგმიური მაჩვენებელი 730 000 ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 831 516 ლარი შეადგინა, რაც გეგმის 113.91 %-ია.


დამატებული ღირებულების გადასახადი - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად დამატებული ღირებულების გადასახადიდან 20% ნაწილდება მუნიციპალიტეტებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის მომზადებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გაიანგარიშებს და ბიუჯეტის კანონის პროექტში ასახავს მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრულ დამატებული ღირებულების გადასახადში თითოეული მუნიციპალიტეტის კუთვნილი წილის პროცენტულ მაჩვენებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე ქედის მუნიციპალიტეტისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის 2025 წლის გეგმიური მაჩვენებელი 19 021 500 ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 19 097 203 ლარი შეადგინა, რაც გეგმის 100.40%-ია.

დამატებული ღირებულების გადასახადის 2025 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2024 წლის შესრულების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით - 2 475 690 ლარით გაზრდილია.





დამატებული დირექტების გადასახადის დინამიკა 2019-2025 წწ.



2025 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 10 618 380 ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 12 232 158 ლარს, რაც გეგმის - 86.81% შეადგენს.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში გრანტების (ფინანსური დახმარების) წილი 34,07%-ია

#	შემოსულობების დასახელება	2025 წლის გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა
1	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	12 239 514	10 618 380	-1 621 134
1.1	გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან	254 233	203 961	-50 272
1.1.1	მიზნობრივი ტრანსფერი	154 760	104 488	-50 272
1.1.2	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მიმდინარე, სხვა	99 473	99 473	0
1.2	სპეციალური ტრანსფერი	2 850 000	2 765 584	-84 416



1.3	რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი	1 262 281	1 245 123	-17 158
1.4	კაპიტალური ტრანსფერი	7 873 000	6 403 713	-1 469 287
1.4.1	სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	223 000	223 000	0
1.4.2	კაპიტალური ტრანსფერი ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	7 650 000	6 180 713	-1 469 287
ჯამი		12 239 514	10 618 380	-1 621 134

ცენტრალური და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები

2025 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 426 961 ლარი, მათ შორის:

- მიზნობრივი ტრანსფერის სახით მიღებულია 104 488 ლარი, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №6);
- გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მიმდინარე, სხვა ტრანსფერის სახით მიღებულია 99 473 ლარი, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №6);
- კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია 223 000 ლარი, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №6);

2025 წლის განმავლობაში ქედი ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 10 191 419 ათასი ლარი, მათ შორის:

- კაპიტალური ტრანსფერი - კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად 6 180 713 ლარი, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №3);
- სპეციალური ტრანსფერი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2 765 584 ლარი, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №4);
- რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან (სპეციალური ტრანსფერი) - 1 245 123 ლარი, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №5);

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2025 წლის საპროგნოზო მოცულობა 576 000 ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 616 786 ლარი, ანუ გეგმის 107.08%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 1.98%-ს შეადგენს.



საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების ფაქტიური მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 170 841 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (207 000 ლარი) 82,53%-ია. მათ შორის:

- პროცენტებიდან მობილიზებულია 45 175 ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

- რენტის სახით მიღებულია 125 666 ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 120 741 ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 4 925 ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 78 473 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (77 000 ლარი) 101,91%-ია. აქედან:

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით _ 65 313 ლარი, მათ შორის:
- მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) _ 41 541 ლარი;
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის _ 23 755 ლარი;
- არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები – 13 161 ლარი;

სანქციები, ჯარიმები და საურავები მობილიზებულია 56 010 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (42 000 ლარი) 133,36%-ია, აქედან:

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო _ 52 513 ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში _ 11 193 ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებასარგებლობის სფეროში _ 1 879 ლარი;

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო _ 27 798 ლარი;

სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში _ 38 093 ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო _ 1 348 ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო _ 3 497 ლარი.


ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული მობილიზებულია 311 462 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (250 000 ლარი) 124,58%-ია

სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალის სახით _ (-459) ლარი;

სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით _ 311 921 ლარი.



ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა



ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები


#	შემოსულობების დასახელება	2025 წლის გეგმა	საკასო შესრულება
1	სხვა შემოსავალი	576 000	616 786
1,1	შემოსავალი საკუთრებიდან	207 000	170 841
1,2	პროცენტი	90 000	45 175
2,1	რეზიდენტებისგან, სხვა სამთავრობო სექტორის გარდა	90 000	45 175
	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	90 000	45 175
	რენტა	117 000	125 666
	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	114 000	120 741
	მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის	12 000	56 500
	მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის	60 000	43 791
	მოსაკრებელი გარემოდან ამოღებული ტყის არამერქნული რესურსებით და ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისათვის	0	91
	მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის	17 000	7 212
	მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე	0	612



სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი	25 000	12 534
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზუფუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	3 000	4 925
საკონლისა და მომსახურების რეალიზაცია	77 000	78 473
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	57 000	65 313
სანებართვო მოსაკრებლები	30 000	41 541
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	30 000	41 541
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	27 000	23 755
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი		16
არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	20 000	13 161
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	20 000	13 161
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სახელმწიფო ქონების იჯარაში ან მართვაში (უზუფუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან		13 161
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	20 000	
სანქციები, ჯარიმები და საურავები	42 000	56 010
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	29 000	52 513
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში	6 000	11 193
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებასარგებლობის სფეროში	5 000	1 879
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	18 000	38 093
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	15 000	27 798
უბილეთო მგზავრობის გამო		20
სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	3 000	10 275
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელშეწყობის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	0	1 348
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	7 000	3 497
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	6 000	



ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	250 000	311 462
მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	250 000	311 462
სხვა მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	250 000	311 462
<i>სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები</i>	250 000	311 921



არაფინანსური აქტივების კლება

2025 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა - 4 400 ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმის (30 000 ათასი ლარის) 14,67%-ია. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს და შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან.




ქედის მუნიციპალიტეტის საბანკო და სახაზინო ანგარიშებზე მიღებულ შემოსულობების შესახებ 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

ნაშთი საანგარიშო წლის დასაწყისში (01.01.2025)	შემოსულობები საანგარიშო პერიოდში	ხარჯი საანგარიშო პერიოდში	ნაშთი საანგარიშო წლის ბოლოს (31.12.2025)
860 536	31 168 285	31 034 283	994 538

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხილეთ დიაგრამა):






ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების
ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის კრილში

დასახელება	2025 წლის გეგმა	საკასო შესრულება	შესრუ- ლების %	%-ლი წილი
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5 874,958	5 771,847	98,24%	18,61%
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5 509,658	5 420,944	98,39%	17,48%
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5 509,060	5 420,944	98,40%	17,48%
ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,598	0,000	0,00%	0,00%
ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	2,900	2,885	99,48%	0,01%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	362,400	348,018	96,03%	1,12%
ეკონომიკური საქმიანობა	3 224,400	3 166,201	98,20%	10,21%
ტრანსპორტი	2 635,000	2 609,437	99,03%	8,42%
საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2 635,000	2 609,437	99,03%	8,42%
ეკონომიკის სხვა დარგები	589,400	556,764	94,46%	1,80%
ტურიზმი	589,400	556,764	94,46%	1,80%
დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 872,700	1 862,428	99,45%	6,01%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	1 872,700	1 862,428	99,45%	6,01%
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	6 072,700	5 007,430	82,46%	16,15%
კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 295,800	1 524,675	66,41%	4,92%
წყალმომარაგება	1 758,900	1 627,275	92,52%	5,25%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	2 018,000	1 855,480	91,95%	5,98%
ჯანმრთელობის დაცვა	957,600	899,198	93,90%	2,90%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	957,600	899,198	93,90%	2,90%
დასვენება, კულტურა და რელიგია	5 690,600	5 177,123	90,98%	16,70%
მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 913,500	1 791,366	93,62%	5,78%
მომსახურება კულტურის სფეროში	3 777,100	3 385,757	89,64%	10,92%



განათლება	5 059,400	4 850,388	95,87%	15,64%
სკოლამდელი აღზრდა	3 505,800	3 501,250	99,87%	11,29%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	1 553,600	1 349,138	86,84%	4,35%
სოციალური დაცვა	4 312,656	4 272,878	99,08%	13,78%
სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	32,000	31,043	97,01%	0,10%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	4 280,656	4 241,835	99,09%	13,68%
სულ	33 065,014	31 007,493	93,78%	

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში (გეგმა-ფაქტი)



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2025 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 5 874.958 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 5 771.847 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 98.24%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი



ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების, წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს 18.61%-ს.

ეკონომიკური საქმიანობისთვის დაგეგმილი იყო 3 224.400 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 3 166.201 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 98.20%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 10.21%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს სოფლის მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტი და გზების რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობასა და შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის ფუნქციონირებას.

დასუფთავება და გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 1 872.700 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 1 862.428 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 98.45%. ამ სფეროში გაერთიანებულია მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანის ღონისძიებები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 6.01%-ია.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის კომუნალური მეურნეობის განვითარება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების ხარჯები, შეადგენდა 6 072.700 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 5007.430 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 82.46%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 16.15%-ს.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 957.600 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 9899.198 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 93.90%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 2.90%-ს. მასში გაერთიანებულია ამბულატორიული მომსახურების, მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა უზრუნველყოფის, სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის, ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსების, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის, შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამის ხარჯები.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 5 690.600 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 5 177.123 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 90.98%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 16.70%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, სპორტული მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მშენებლობის, სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის და რეაბილიტაციის, სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის, ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის, ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმის, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობის, ინტელექტუალურის და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის, დაბა ქედის კულტურის სახლის რეაბილიტაცია.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 5 059.400 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 4 850.388 ათას ლარს, ანუ გეგმის 95.87%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდა და განათლების, ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შეფასების მქონე სტუდენტების ფულადი ჯილდოთი წახალისების,



ა.ა.(ი)პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების, ა.ა.(ი)პ ქედის სასპორტო სკოლის, ა.ა.(ი)პ ქედის სახელოვნებო სკოლის ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 15.64%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 4 312.656 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 4 272.878 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.08%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 13.78%-ს. იგი მოიცავს სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის; ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარების; ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების; გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების; ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობის; სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის; შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფის, 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარების, საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარების, მარტოხელა სტატუსის მქონე პირებზე ფინანსური დახმარების, ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი სერვისების თანადაფინანსების, ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის, სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარების ხარჯებს.

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

№	დასახელება	2025 წლის დაზუსტებული გეგმა/ხარჯი			
		გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %	%-ლი წილი
1	შრომის ანაზღაურება	8 550 997	8 511 499	99,54%	27,43%
2	საქონელი და მომსახურება	4 710 816	4 606 606	97,79%	14,84%
3	პროცენტი	2 900	2 885	99,48%	0,01%
4	სუბსიდიები	4 009 050	3 886 025	96,93%	12,52%
6	სოციალური უზრუნველყოფა	1 977 545	1 962 293	99,23%	6,32%
7	სხვა ხარჯები	3 950 573	3 897 124	98,65%	12,56%
8	არაფინანსური აქტივები	9 975 233	8 141 062	81,61%	26,23%
9	ვალდებულებები	28 000	26 790	95,68%	0,09%
გადასახდელების ჯამი		33 205 114	31 034 283	93,46%	



შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 8 511.499 ათას ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 27.43%;

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 4 606.606 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 14.84%;

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 2.885 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 0.01%;


სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 3 886.025 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 12.52%;


სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1 962.293 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 6.32%;

სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 3 897.124 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 12.56%;

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 8 141.062 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 26.23%;

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 26.790 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 0.09%;





**ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები
პროგრამულ ჭრილში**
პროგრამულ ჭრილში ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის
ბიუჯეტის ხარჯებს შემდეგი სახე აქვს:


პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები		
		გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %
1	ქედის მუნიციპალიტეტი	33 205 114	31 034 283	93,46%
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5 902 958	5 798 637	98,23%
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	5 509 060	5 420 944	98,40%
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	393 898	377 693	95,89%
02 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	9 409 200	8 173 631	86,87%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2 747 100	2 609 437	94,99%




02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	1 758 900	1 627 275	92,52%
02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა	915 300	784 213	85,68%
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი	843 600	843 062	99,94%
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2 295 800	1 524 675	66,41%
02 03 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	1 428 400	732 891	51,31%
02 03 02	ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	500 000	457 984	91,60%
02 03 03	პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა	367 400	333 801	90,85%
02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	435 000	381 501	87,70%
02 05	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა	0	0	#DIV/0!
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	750 000	670 807	89,44%
02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა	13 000	12 800	98,46%
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	589 400	556 764	94,46%
02 09	„გომის“ მთის ელექტრო-გადამცემი ხაზის მოწყობა	570 000	540 372	94,80%
02 10	მთა „ტბათში“ ელექტრო-გადამცემი ხაზის მოწყობა	250 000	250 000	100,00%
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 872 700	1 862 428	99,45%
03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში	1 872 700	1 862 428	99,45%
04 00	განათლება	3 816 500	3 623 864	94,95%
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	3 505 800	3 501 250	99,87%
04 02	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	310 700	122 614	39,46%
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	6 933 500	6 403 647	92,36%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2 763 800	2 633 815	95,30%



05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	4 169 700	3 769 831	90,41%
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	5 270 256	5 172 076	98,14%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	957 600	899 198	93,90%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	4 312 656	4 272 878	99,08%



ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით დეტალურად მოცემულია დანართის (დანართი №2) სახით.



ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პრიორიტეტების ფაქტიურ ხარჯები შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 5 798.637 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება - 8 173.631 ათასი ლარი;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1 862,428 ათასი ლარი;
- განათლება - 3 623.864 ათასი ლარი;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 6 403.647 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 5 172.076 ათასი ლარი.



1) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

საანგარიშო წელს მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 5 798.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (5 903.0 ათასი ლარი) 98.23 % - ია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 1 294,5 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 4 126,4 ათასი ლარი, 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: 1. სარეზერვო ფონდი მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში შეიქმნა სარეზერვო ფონდი 202.100 ათასი ლარის ოდენობით, რაც ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 0.61%-ს შეადგენს. სარეზერვო ფონდიდან სახსრები მიიმართებოდა იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელიც არ იყო გათვალისწინებული დამტკიცებულ ბიუჯეტში. 2025 წელს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 201 501.52 ლარი შეადგინა, (დეტალური ინფორმაცია ცხრილის (დანართი №1) სახით თან ერთვის ანგარიშს). 2. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი იქნა სულ 1,0 ათასი ლარი, აღნიშნული თანხით ფინანსდება სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხები. 3. მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებზე გაიწია 46,8 ათასი ლარი, 4. მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის მომსახურებაზე გაიწია 29,7 ათასი ლარი, მათ შორის ძირითადი ვალდებულება შემცირდა 26,8 ათასი ლარით, მომსახურების პროცენტმა შეადგინა 2,9 ათასი ლარი, 5. ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობაზე გაიწია 44,1 ათასი ლარი, 6. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამაზე გაიწია 3,9 ათასი ლარი, 7. თანასწორობის ხელშეწყობა/ცნობიერების ამაღლების მიზნობრივი პროგრამაზე გაიწია 9,4 ათასი ლარი.

2) ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 8 173,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 86,4 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
02 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	9 409 200	8 173 631	86,87%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2 747 100	2 609 437	94,99%



02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	1 758 900	1 627 275	92,52%
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2 295 800	1 524 675	66,41%
02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	435 000	381 501	87,70%
02 05	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა	0	0	#DIV/0!
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	750 000	670 807	89,44%
02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა	13 000	12 800	98,46%
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	589 400	556 764	94,46%
02 09	„გომის“ მთის ელექტრო-გადამცემი ხაზის მოწყობა	570 000	540 372	94,80%
02 10	მთა „ტბათში“ ელექტრო-გადამცემი ხაზის მოწყობა	250 000	250 000	100,00%

2. ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

❖ შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია (ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 02 01 01)

- პროგრამის განმახორციელებელი:
- ქედის მუნიციპალიტეტის მერია, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური, ეკონომიკური განვითარების სამსახური
- პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 2 119,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 037,3 ლარი; შესრულების პროცენტი - 96,1%;

- პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში დარჩენილია საუბნო-საავტომობილო გზები, სადაც ცუდი სავალი ნაწილების გამო შეზღუდულია ავტომობილებით გადაადგილება. ასევე, მთაგორიანი რელიეფების გამო, ხშირია წვიმების შედეგად მათი ჩამოშლა და მეწყრული პროცესების წარმოქმნა, ამიტომ საჭიროა გეგმიურად მათი რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში საავტომობილო გზებზე, 28



ლოკაციაზე განხორციელდა ფერდსამაგრი კედლების მოწყობა, საყრდები კედლების მშენებლობა, სანიაღვრე და საწრეტი არხების მოწყობა, მილხიდების მშენებლობა, გზების რეაბილიტაცია და ბეტონის საფარით დაფარვა.

ღონისძიების მიზანი: მუნიციპალიტეტის სოფლებში საუბნო-საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, სანიაღვრე და საწრეტი არხების მოწყობა, ფერდსამაგრი კედლების მოწყობა, ხიდების, ხიდბოგირებისა და სავალი ნაწილების ბეტონის საფარით დაფარვა

აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში ჩატარებულია სულ 28 ღონისძიება, კერძოდ:

1. სოფელ სიხალიძეებში მერაბ თურმანიძის სახლთან, საავტომობილო გზაზე ფერდსამაგრი კედლის მოწყობა, დაიხარჯა: 221244,66 ლარი

შესრულების თარიღი: 01/10/2024-01/07/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: მერისის ადმინისტრაციულ ერთეულის, სოფელ სიხალიძეებში მერაბ თურმანიძის სახლთან, საავტომობილო გზაზე მოეწყო ფერდსამაგრი კედელი;

2. (მზა სასაქონლო ბეტონის მ-250-ის (B-20) შეძენა), დაიხარჯა: 86400 ლარი.

შესრულების თარიღი: 18/12/2025-24/12/2025წელი.

ღონისძიების მიზანი: დაბა ქედის ტერიტორიაზე საავტომობილო გზის გაფართოებისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით შეძენილი იქნა 384 კუბ.მ მზა ბეტონი;

3. (მზა სასაქონლო ბეტონის მ-250-ის (B-20) შეძენა), დაიხარჯა: 152806,50 ლარი.

შესრულების თარიღი: 04/11/2025-01/12/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში ცალკეულ მონაკვეთებზე საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით შეძენილი იქნა 567 კუბ.მ მზა ბეტონი;

4. სოფელ დოლოგანში, საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა; დაიხარჯა: 58511,53 ლარი

შესრულების თარიღი: 01/04/2025-30/06/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: დოლოგანის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ დოლოგანში საავტომობილო გზაზე მოეწყო საყრდენი კედელი, სანიაღვრე და საწრეტი არხები;

5. სოფელ ორცვაში ბორის თურმანიძის საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ საავტომობილო გზაზე ფერდსამაგრი კედლის მოწყობა; დაიხარჯა: 30192,23 ლარი;

შესრულების თარიღი: 01/04/2025-30/06/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ ორცვაში ბორის თურმანიძის საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ საავტომობილო გზაზე მოეწყო ფერდსამაგრი კედელი;

6. სოფელი გეგელიძეები. დავით სირაბიძის და ნაზიმ ხალვაშის სახლების მიმდებარედ საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა; დაიხარჯა: 54768,63 ლარი;

შესრულების თარიღი: 01/04/2025-30/06/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ გეგელიძეებში დავით სირაბიძის და ნაზიმ ხალვაშის სახლების მიმდებარედ საავტომობილო გზაზე მოეწყო საყრდენი კედელი, სანიაღვრე და საწრეტი არხები;

7. სოფელი კოკოტაურის ვარანეულას უბანში ზურაბ კონცელიძის სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა; დაიხარჯა: 81396,22 ლარი;

შესრულების თარიღი: 01/04/2025-30/06/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ კოკოტაურში, ვარანეულას უბანში ზურაბ კონცელიძის სახლთან საავტომობილო გზაზე მოეწყო ფერდსამაგრი კედელი;



8. სოფელი გოგიაშვილები, მალხაზ გოგიაშვილის სახლის მიმდებარედ საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა; დაიხარჯა: 65366,99 ლარი;

შესრულების თარიღი: 01/04/2025-30/06/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ გოგიაშვილები, მალხაზ გოგიაშვილის სახლის მიმდებარედ საავტომობილო გზაზე მოეწყო საყრდენი კედელი, სანიაღვრე და საწრეტი არხები;

9. სოფელი დანდალო, მურად არძენაძის სახლის მიმდებარედ საავტომობილო გზაზე ფერდსამაგრი კედლის მოწყობა; დაიხარჯა: 89972,44 ლარი;

შესრულების თარიღი: 01/04/2025-30/06/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ დანდალოში მურად არძენაძის სახლის მიმდებარედ საავტომობილო გზაზე მოეწყო საყრდენი კედელი, სანიაღვრე და საწრეტი არხები;

10. სოფელი კვაშტა, ალიოშა გათენაძის სახლის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლისა და სანიაღვრე არხის მოწყობა; დაიხარჯა: 146606,79 ლარი;

შესრულების თარიღი: 14/05/2025-14/08/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ კვაშტაში, ალიოშა გათენაძის სახლის მიმდებარედ საავტომობილო გზაზე მოეწყო საყრდენი კედელი, სანიაღვრე და საწრეტი არხები;

11. სოფელი ჭალახმელა, გიორგი ბედინაძის სახლთან მილხიდის მოწყობა; დაიხარჯა: 47566,99 ლარი;

შესრულების თარიღი: 14/05/2025-14/08/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ ჭალახმელაში, გიორგი ბედინაძის სახლის მიმდებარედ საავტომობილო გზის ქვეშ წყლის გასატარებლად მოეწყო მილხიდი;

12. სოფელი გოგიაშვილები, რაული გოგიაშვილის სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა; დაიხარჯა: 56016,56 ლარი;

შესრულების თარიღი: 27/05/2025-25/08/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ გოგიაშვილებში რაული გოგიაშვილის სახლის მიმდებარედ საავტომობილო გზაზე მოეწყო საყრდენი კედელი, სანიაღვრე და საწრეტი არხები;

13. სოფელი ხარაულა (ჭანუყვაძეების უბანში), საავტომობილო გზის რეაბილიტაცია; დაიხარჯა: 59419,90 ლარი;

შესრულების თარიღი: 27/05/2025-25/08/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ ხარაულაში ჭანუყვაძეების უბანში მოეწყო საავტომობილო გზა, სანიაღვრე და საწრეტი არხები;

14. სოფელი ახო, რეზო ბერიძის სახლთან საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა; დაიხარჯა: 115924,24 ლარი;

შესრულების თარიღი: 24/06/2025-22/09/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ ახოში რეზო ბერიძის სახლის მიმდებარედ საავტომობილო გზაზე მოეწყო საყრდენი კედელი, სანიაღვრე და საწრეტი არხები;

15. სოფელი ქვედა ბზუბზუ, ამირან ბოლქვაძის საცხოვრებელ სახლთან საავტომობილო გზაზე ფერდსამაგრი კედლის მოწყობა; დაიხარჯა: 46150,46 ლარი;

შესრულების თარიღი: 24/06/2025-22/09/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ ქვედა ბზუბზუში ამირან ბოლქვაძის საცხოვრებელ სახლთან საავტომობილო გზაზე მოეწყო ფერდსამაგრი კედელი;

16. სოფელი ახო, ილია ბერიძის სახლთან საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა; დაიხარჯა: 60582,51 ლარი;



შესრულების თარიღი: 24/06/2025-22/09/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ ახოში ილია ბერიძის საცხოვრებელ სახლთან საავტომობილო გზაზე მოეწყო საყრდენი კედელი, სანიაღვრე და საწრეტი არხები;

17. სოფელი შევაბური, შორენა აბულაძის სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა; დაიხარჯა: 58252,40 ლარი;

შესრულების თარიღი: 24/06/2025-22/09/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ შევაბურში შორენა აბულაძის საცხოვრებელ სახლთან საავტომობილო გზაზე მოეწყო ფერდსამაგრი კედელი;

18. სოფელი ბზუბზუ, იგორ აზნაურიშვილის საცხოვრებელ სახლთან სანიაღვრე არხზე ლითონის ცხურების მოწყობა; დაიხარჯა: 1758,24 ლარი;

შესრულების თარიღი: 24/06/2025-22/09/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ ბზუბზუში იგორ აზნაურიშვილის საცხოვრებელ სახლთან საავტომობილო გზაზე არსებულ სანიაღვრე არხზე მოეწყო ლითონის ცხური;

19. სოფელი წონიარისი, მერაბ ბოლქვაძის სახლთან საყრდენი კედლის მოწყობა; დაიხარჯა: 30864,64 ლარი;

შესრულების თარიღი: 24/06/2025-22/09/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ წონიარისში მერაბ ბოლქვაძის საცხოვრებელ სახლთან საავტომობილო გზაზე მოეწყო საყრდენი კედელი, სანიაღვრე და საწრეტი არხები;

20. სოფელი ქედა, ზურაბ ხაბაზის სახლთან საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა; დაიხარჯა: 174886,12 ლარი;

შესრულების თარიღი: 04/07/2025-02/10/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ქედაში ზურაბ ხაბაზის საცხოვრებელ სახლთან საავტომობილო გზაზე მოეწყო საყრდენი კედელი, სანიაღვრე და საწრეტი არხები;

21. სოფელი ტიბეთა, სასაფლაოს მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა; დაიხარჯა: 99095,14 ლარი;

შესრულების თარიღი: 12/09/2025-21/11/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ ტიბეთაში სასაფლაოს მიმდებარედ საავტომობილო გზაზე მოეწყო საყრდენი კედელი, სანიაღვრე და საწრეტი არხები;

22. დაბა ქედა, ტ. აბუსერიძის ქუჩა, ცირა პაპუნძის სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა; დაიხარჯა: 45772,26 ლარი;

შესრულების თარიღი: 12/09/2025-21/11/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: დაბა ქედაში ტ. აბუსერიძის ქუჩაზე ცირა პაპუნძის საცხოვრებელ სახლთან საავტომობილო გზაზე მოეწყო ფერდსამაგრი კედელი;

23. სოფელ გულებში სანიაღვრე არხის მოწყობა; დაიხარჯა: 1111,60 ლარი;

შესრულების თარიღი: 12/09/2025-21/11/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ გულებში მოეწყო სანიაღვრე არხი;

24. სოფელი არსენაული, რუსლან ნაკაშიძის სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა; დაიხარჯა: 117087,35 ლარი;

შესრულების თარიღი: 30/09/2025-09/12/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ არსენაულში რუსლან ნაკაშიძის საცხოვრებელ სახლთან საავტომობილო გზაზე მოეწყო ფერდსამაგრი კედელი;



25. სოფელი ბზუბზუ, ფრიდონ ნინიძის სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა; დაიხარჯა: 30928,11 ლარი;

შესრულების თარიღი: 30/09/2025-09/12/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ ბზუბზუში ფრიდონ ნინიძის საცხოვრებელ სახლთან საავტომობილო გზაზე მოეწყო ფერდსამაგრი კედელი;

26. სოფელი ზენდიდი, სულიკო ბარამიძის სახლის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლისა და სანიაღვრე არხის მოწყობა; დაიხარჯა: 65709,26 ლარი;

შესრულების თარიღი: 15/09/2025-24/11/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ ზენდიდში სულიკო ბარამიძის საცხოვრებელ სახლთან საავტომობილო გზაზე მოეწყო ფერდსამაგრი კედელი და სანიაღვრე არხი;

27. სოფელი ზენდიდი, ბადრი ბეჟანიძის სახლთან ფერდსამაგრი კედლისა და სანიაღვრე არხის მოწყობა; დაიხარჯა: 71832,87 ლარი;

შესრულების თარიღი: 25/09/2025-04/12/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ ზენდიდში, ბადრი ბეჟანიძის საცხოვრებელ სახლთან საავტომობილო გზაზე მოეწყო ფერდსამაგრი კედელი და სანიაღვრე არხი;

28. სოფელი ზენდიდი, ნუგზარ ბეჟანიძის სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა; დაიხარჯა: 75461,30 ლარი;

შესრულების თარიღი: 25/09/2025-04/12/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ ზენდიდში ნუგზარ ბეჟანიძის საცხოვრებელ სახლთან საავტომობილო გზაზე მოეწყო ფერდსამაგრი კედელი;

➤ **მიღწეული შედეგები:**

შიდა გზების რეაბილიტაციის შედეგად მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა, გაუმჯობესდა გადაადგილების უსაფრთხოება და კომფორტი. მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემები, მილხიდები, არხები და შემცირდა წყლის დაგუბების რისკი. გაიზარდა მოსახლეობის ხელმისაწვდომობა საცხოვრებელ სახლებთან და საზოგადოებრივ ობიექტებთან. შესაძლებელი გახდა სასოფლო პროდუქტებისა და სასწავლო რესურსების უფრო მარტივად ტრანსპორტირება. გაუმჯობესდა სოფლების ესთეტიკური იერსახე.

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)		შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია		02 01 01
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი		ქედის მუნიციპალიტეტის მერია, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური, ეკონომიკური განვითარების სამსახური		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებით შეიქმნება გაუმჯობესებული პირობები მათი შემდგომი ექსპლოატაციისათვის. შეიქმნება უსაფრთხო გარემო სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითად მოსიარულეთა გადაადგილებისათვის	მიღწეული შედეგი	მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა, გაუმჯობესდა გადაადგილების უსაფრთხოება და კომფორტი	
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი				განმარტება



№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	25	28	28	0	

❖ მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება (ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 02 01 03)

- პროგრამის განმახორციელებელი:
- ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ეკონომიკური განვითარების სამსახური
- პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 8,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება 8,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%;

- პროგრამის აღწერა:

მოიალაღეთა ტრანსპორტირება მოიცავს მთის ალპურ სამოვრებზე საზაფხულოდ დროებით მობინადრეთა ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფას. მგზავრთა უსაფრთხოდ და დანახარჯების გარეშე ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფა მთლიანად მთის სეზონის პერიოდში (სამი თვე) სატრანსპორტო მომსახურების გაწევას. საიჩაირის და გომის მთის ტერიტორიაზე მობინადრე მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების ტრანსპორტით მომსახურების შესყიდვას. პროგრამა ითვალისწინებს შედგენილი გრაფიკის მიხედვით სულ 23 მარშრუტს, მოსახლეობის მოთხოვნით დაგეგმილ დღეებში მთებზე ტრანსპორტით გადაადგილებისათვის;

შესრულების თარიღი: 2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: მუნიციპალიტეტში ფერმერული მეურნეობების (მეცხოველეობის) განვითარების ხელშეწყობა. რეგიონისათვის დამახასიათებელი მთის ტრადიციების შენარჩუნება. ალპური რესურსების გამოყენება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში.

- მიღწეული შედეგები:

პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნა მოიალაღეთა გადაადგილების ხელმისაწვდომობა და მეცხოველეობის დარგის განვითარება, სულ განხორციელდა 23 რეისი, მათ შორის - 10 რეისი მთა საიჩაირის მიმართულებით და 13 რეისი გომის მთის მიმართულებით;

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)		მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება		02 01 03	
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი		ქედის მუნიციპალიტეტის მერია, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური, ეკონომიკური განვითარების სამსახური			
დაგეგმილი შუალედური შედეგი	მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა		მიღწეული შედეგი	მოიალაღეთა გადაადგილების ხელმისაწვდომობა და მეცხოველეობის დარგის განვითარება	
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი				განმარტება	
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	600	600	700	0	



❖ ბურღვა აფეთქება (ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 02 01 04)

- პროგრამის განმახორციელებელი:
- ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ეკონომიკური განვითარების სამსახური
- პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 10.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება 9,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99%;

➤ პროგრამის აღწერა:

ბურღვა-აფეთქების სამუშაოები მოიცავს კლდისა და ქვიშაგრანტის ბურღვა-აფეთქებას. აფეთქების შედეგად მიღებული მასალა დაიშლება, რაც საშუალებას იძლევა მისი უსაფრთხოდ ტრანსპორტირებას და მის შემდგომ დამუშავებას. სამუშაოები სრულდება სპეციფიკური ტექნიკით და უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით, რათა უზრუნველყოს მუშახელის, გარემოსა და უნფრასტრუქტურის უსაფრთხოება;

შესრულების თარიღი: 01/01/2025-25/12/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: მუნიციპალიტეტის სოფლებში საცხოვრებელი სახლებისათვის საფრთხის შემცველი ქვის ლოდების გაუვნებლყოფა აფეთქების გზით;

➤ მიღწეული შედეგები:

ბურღვა-აფეთქების სამუშაოების შედეგად წარმატებით მოხერხდა დიდი ზომის ქვის ლოდებისა და სქელი მინერალური მასების დაშლა და მონაცვლეობა. შედეგად ადგილობრივ მოსახლეობას მიეცა უსაფრთხო და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული სივრცე, რაც უზრუნველყოფს გზებისა და სხვა საზოგადოებრივი ობიექტების ხარისხიანად მოწყობას. შემცირდა შემთხვევითი უბედური შემთხვევების რისკი და უსაფრთხო გადაადგილების პირობები. მომზადებული ტერიტორია კი ხელს შეუწყობს მომავალ სამშენებლო სამუშაოებს და სოფლის განვითარების ხელშეწყობას;

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)		ბურღვა აფეთქება		02 01 04	
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი		ქედის მუნიციპალიტეტის მერია, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური, ეკონომიკური განვითარების სამსახური			
დაგეგმილი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტის სოფლებში ქვათაცვენის რისკიდან გამომდინარე მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების დაზიანებების აცილება და მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა	მიღწეული შედეგი	მოიაღაღეთა გადაადგილების ხელმისაწვდომობა და მცხოველეობის დარგის განვითარება		
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი					განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	11	8	8	0	

❖ საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა (ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 02 01 05)

- პროგრამის განმახორციელებელი:
- ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ეკონომიკური განვითარების სამსახური, შპს -ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო;



➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 122,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება 122,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%;

➤ პროგრამის აღწერა:

დაბის ტერიტორიაზე განთავსებულია მუნიციპალური საავადმყოფო, სკოლა, საბავშვო ბაღი. ასევე, ყველა საჭირო მუნიციპალური სერვისები. თუმცა მთიანი გეოგრაფიული არეალის გამო ქედაში მცხოვრებ მოქალაქეებს ფეხით უწევდათ გადაადგილება. პროექტის ფარგლებში დანერგულია უფასო საზოგადოებრივი ტრანსპორტის სერვისი, რომელიც საშუალებას აძლევს მოსახლეობას გადაადგილდეს დაბის ტერიტორიაზე არსებულ ტბელ აბუსერიძის, დავით აღმაშენებლის, შოთა რუსთაველის, 9 აპრილის და ყედიშ შერვაშიძის ქუჩებზე. ასევე, აქუცის ახალი ხიდიდან ძენწმანის ხიდამდე. ტრანსპორტირება ხორციელდება გრაფიკულად ერთიდან ნახევარი საათის ინტერვალით, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო, კომფორტულ და დროულ გადაადგილებას. უფასო ელექტრო ტრანსპორტის დანერგვა ხელს უწყობს ადგილობრივ მოსახლეობის კავშირს სოციალური, საგანმანათლებლო, სამედიცინო და სავაჭრო ობიექტებთან და იძლევა ეკოლოგიურად სუფთა ალტერნატივას;

ასევე, მუნიციპალიტეტში მგზავრთა მომსახურებას, გარდა დაბა ქედისა, ეწევიან ფიზიკური პირები მათ მფლობელობაში არსებული ტრანსპორტით, რომელთა ნაწილი შეუსაბამო იყო მგზავრთა მომსახურებისათვის, რისთვისაც მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი სამგზავრო ავტობუსით შესაძლებელია მგზავრთა საქალაქთაშორისო გადაადგილება. არსებულ კერძო სატრანსპორტო საშუალებებს არ გააჩნიათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურებისათვის შექმნილი ადაპტირებული პირობები, რისი შესაძლებლობაც გაჩნდა ახალი ავტობუსით მომსახურების შემთხვევაში. ასევე, არ იყო დაწესებული შეღავათები არცერთი კატეგორიის მგზავრებისათვის. ქვეპროგრამის ფარგლებში მგზავრთა ზოგიერთი კატეგორიისათვის, როგორც არიან უმადლესი სასწავლებლების და პროფესიული განათლების სტუდენტები, ომის ვეტერანები, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (ეტლით მოსარგებლე, მხედველობა დაკარგული და სხვა) ისარგებლებენ ავტობუსით უფასოდ მგზავრობის მომსახურებით.

შესრულების თარიღი: 2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, მგზავრთა ზოგიერთი კატეგორიისათვის უფასოდ მგზავრობის მომსახურება;

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია დაბის ტერიტორიაზე მოქალაქეთა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება და შექმნილია პირობები მათი უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის. პროგრამის ფარგლებში დაბა ქედის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის განთავსებამ უზრუნველყო მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილება და სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	02 01 05
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ეკონომიკური განვითარების სამსახური, შპს -ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო;	
დაგეგმილი შუალედური შედეგი	მოქალაქეთა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება და მათი უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის პირობების შექმნა	მიღწეული შედეგი
		უზრუნველყოფილია მოქალაქეთა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება და შექმნილია პირობები მათი უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის



შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი					განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	11 000	14 000	14 000	0	

❖ შ.პ.ს. ქედის ავტოსატრანსპორტო (ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 02 01 06)

- პროგრამის განმახორციელებელი:
- ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ეკონომიკური განვითარების სამსახური, შპს -ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო;
- პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 129,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება 125,0 ლარი; შესრულების პროცენტი - 93,36%;

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)		შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“		02 01 06	
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი		ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ეკონომიკური განვითარების სამსახური, შპს ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო;			
დაგეგმილი შუალედური შედეგი	დაბა ქედის ტერიტორიაზე მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, 1. გაუმჯობესებული ამბულატორიული მომსახურება; 2. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;	მიღწეული შედეგი	უზრუნველყოფილია დაბა ქედის ტერიტორიაზე მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილების 1. გაუმჯობესებული ამბულატორიული მომსახურება; 2. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;		
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი					განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	23 000	23 000	23 000	0	მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა

❖ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ამბულატორიებში დასაქმებული ექიმების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა (კლასიფიკაციის კოდი: 02 01 07)

- პროგრამის განმახორციელებელი:
- ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ეკონომიკური განვითარების სამსახური, შპს -ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო;
- პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 166,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება 166,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%;



➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სამედიცინო პერსონალის ტრანსპორტით უზრუნველყოფა მერისის, დანდალოს, ცხმორისის, წონიარისის, ზვარის, დაბა ქედის, მახუნცეთის, დოლოგნის, ოქტომბრის და პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებში, რათა უზრუნველყონ დროული და უსაფრთხო გადაადგილება სამედიცინო დაწესებულებებსა და მოსახლეობას შორის. ამ ღონისძიების შედეგად გაზრდილია სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა და ქმნის ეფექტიან სამუშაო გარემოს ექიმებისათვის;

შესრულების თარიღი: 2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: მუნიციპალიტეტის დაბასა და სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ამბულატორიის ექიმების სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფა

➤ **მიღწეული შედეგები:**

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია ამბულატორიული მომსახურება გამართული ტრანსპორტით. გაუმჯობესებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და გაზრდილია ამბულატორიის ექიმების მიერ მოსახლეობაზე ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა;

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)		მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ამბულატორიებში დასაქმებული ექიმების ტრანსპორტით უზრუნველყოფა			02 01 07
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი		ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ეკონომიკური განვითარების სამსახური, შპს ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო;			
დაგეგმილი შუალედური შედეგი	1. გაუმჯობესებული ამბულატორიული მომსახურება; 2. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;		მიღწეული შედეგი	1. გაუმჯობესებულია ამბულატორიული მომსახურება; 2. ხელშეწყობილია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა;	
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი					განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	10	10	10	0	
2	19 644	19 644	19 644	0	

❖ **წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:
02 02 01)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

➤ ქედის მუნიციპალიტეტის მერია, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის
სამსახური, ეკონომიკური განვითარების სამსახური

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 788,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 761,0 ათასი ლარი; შესრულების



პროცენტი - 97%;

➤ პროგრამის აღწერა:

ქედის მუნიციპალიტეტში სოფლების: ზენდიდის, ოქტომბრის, კვამტის და სოფელ ახოს სამ უბანში მცხოვრები მოსახლეობა ზაფხულის პერიოდში განიცდიდა სასმელი წყლის დეფიციტს. წყლის დეფიციტის შესავსებად საჭირო გახდა შესაბამისი სამარაგო სისტემებისა და რეზერვუარების შექმნა და არსებულის რეაბილიტაცია; სამუშაოები მოიცავდა მოძველებული და დაზიანებული წყალმომარაგების ქსელების დემონტაჟს და ახლით ჩანაცვლებას, ახალი მაგისტრალური და გამანაწილებელი მილსადენის მოწყობას, წყლის რეზერვუარების მშენებლობა/რეაბილიტაციას, სისტემების გამართულობას და სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფას.

ღონისძიების მიზანი: მოსახლეობის უწყვეტი სასმელი წყლით მომარაგება;

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა 02 02 01			
პროგრამის გამახორციელებელი	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური, ეკონომიკური განვითარების სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება. წყლის სიტემების ფუნქციონირება და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა			
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	წყლის სიტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია	მიღწეული შედეგი	განხორციელებულია წყლის სიტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
1	10	6	6	

აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში ჩატარებულია სულ 6 ღონისძიება, კერძოდ:

1. სოფელ ზენდიდის რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა; დაიხარჯა: 52894,92 ლარი;

შესრულების თარიღი: 01/04/2025-11/11/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზენდიდში მოეწყო რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარი;

2. სოფელ ოქტომბრის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური მილსადენის და რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა; დაიხარჯა: 66300,13 ლარი;

შესრულების თარიღი: 01/04/2025-11/11/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბერში მოეწყო სათავე ნაგებობა, მაგისტრალური მილსადენი და რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარი;

3. სოფელ კვამტის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის, მაგისტრალური მილსადენის და რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა; დაიხარჯა: 302590,95 ლარი;

შესრულების თარიღი: 01/04/2025-11/11/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კვამტაში მოეწყო წყალმომარაგების სათავე ნაგებობა და რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარი;



4. სოფელ ახოს ნაჭვავარის უბნის მაგისტრალური მილსადენის და რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა; დაიხარჯა: 207105,89 ლარი;

შესრულების თარიღი: 01/04/2025-28/09/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს ნაჭვავარის უბანში მოეწყო მაგისტრალური მილსადენი და რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარი;

5. სოფელ ახოში ბაზალეთის უბნის რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა; დაიხარჯა: 35699,14 ლარი;

შესრულების თარიღი: 01/04/2025-28/09/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს ბაზალეთის უბანში მოეწყო რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარი და მაგისტრალური მილსადენი;

6. სოფელ ახოში ძერვენახის უბნის რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა; დაიხარჯა: 96440,23 ლარი;

შესრულების თარიღი: 01/04/2025-28/09/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს ძერვენახის უბანში მოეწყო რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარი და მაგისტრალური მილსადენი;

➤ მიღწეული შედეგები:

პროექტის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასმელი წყლის მიწოდების ხარისხი. რეაბილიტირებული და ახლად აშენებული წყალმომარაგების სისტემების მეშვეობით მოსახლეობას მიეწოდება უწყვეტი და ხარისხიანი სასმელი წყალი. აღნიშნული ღონისძიების შედეგად გაიზარდა წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა, გაუმჯობესდა წყლის ხარისხი, შემცირდა წყლის დანაკარგები, მოსახლეობა უზრუნველყოფილია 24 საათიანი წყალმომარაგებით, გაუმჯობესდა მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. ასევე, განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ინფრასტრუქტურის მდგრადობასა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

❖ შპს ქედის წყალკანალი (პროგრამული კოდი 02 02 02)

- პროგრამის განმახორციელებელი:
- განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური, ა.ა.ი.პ. ქედის ზაგა-ზაღების გაერთიანება
- პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 843.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება 843.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.94%;

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	შპს ქედის წყალკანალი	02 02 02
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი	შპს ქედის წყალკანალი, ეკონომიკური განვითარების სამსახური	



დაგეგმილი შუალედური შედეგი		ქედის მუნიციპალიტეტის დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოვლა-შენახვა,			მიღწეული შედეგი	გაუმჯობესებულია წყალმომარაგების მომსახურება, უზრუნველყოფილია წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირება
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი						განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)		
1	12 000	12 000	12 000	0	მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც სარგებლობს უწყვეტი წყალმომარაგებით	

❖ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კლასიფიკაციის კოდი: 02 03 01)

- პროგრამის განმახორციელებელი:
- სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური, ეკონომიკური განვითარების სამსახური
- პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 1 428.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება 732.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 51.30%;

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი 02 03 01				
პროგრამის განმახორციელებელი	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური, ეკონომიკური განვითარების სამსახური				
პროგრამის აღწერა და მიზანი	მრავალბინიანი სახლების მობინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა, პროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას,				
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	გაუმჯობესებულია მრავალბინიანი სახლების ინფრასტრუქტურა და მობინადრეთათვის შექმნილია კომფორტული საცხოვრებელი გარემო	მიღწეული შედეგი	მობინადრეთათვის შექმნილია კომფორტული საცხოვრებელი გარემო, რეაბილიტირებულია ადმინისტრაციული შენობები და მოსახლეობისთვის შექმნილია პირობები მუნიციპალური სერვისების კომფორტულ გარემოში მისაღებად		
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება		



№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	1	1	0	100	კეთილმოწყობილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შესყიდვა არ შედგა
2	6	5	5		რეაბილიტირებული სხვა შენობები

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება
(ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 02 03 01 01)**

- პროგრამის განმახორციელებელი:
- ქედის მუნიციპალიტეტის მერია, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური, ეკონომიკური განვითარების სამსახური
- პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 238,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 233,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97%;

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობას. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა საერთო საცხოვრებელი შენობების ფასადების მოპირკეთება, სახურავის რეაბილიტაცია, სადარბაზოების კეთილმოწყობა და სხვა.

ღონისძიების მიზანი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ეფექტური მხარდაჭერა, საცხოვრებელი გარემოს სტანდარტების ამაღლება და საცხოვრებელი შენობების უსაფრთხოებისა და კომფორტის გაუმჯობესება.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჩატარებულია სულ 4 ღონისძიება, კერძოდ:

1. დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩა № 24-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს კეთილმოწყობა; დაიხარჯა: 96038,24 ლარი;

შესრულების თარიღი: 14/03/2025-12/06/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩა № 24-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს კეთილმოწყობა;

2. დაბა ქედაში, წერეთლის ქუჩა N0-ში არსებული შენობის ფასადის რეაბილიტაცია; დაიხარჯა: 52440,28 ლარი;

შესრულების თარიღი: 14/03/2025-12/06/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: დაბა ქედაში, წერეთლის ქუჩა № 10-ში არსებული შენობის ფასადის რეაბილიტაცია;

3. სოფელ პირველი მაისის 1-ლი ქუჩის #23-ში მდებარე სახლის ფასადის რეაბილიტაცია; დაიხარჯა: 41183,89 ლარი;

შესრულების თარიღი: 01/04/2025-30/06/2025 წელი.

ღონისძიების მიზანი: სოფელ პირველი მაისის 1-ლი ქუჩის #23-ში მდებარე სახლის ფასადის რეაბილიტაცია;



4. დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩა #12-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია; დაიხარჯა: 44676,44 ლარი;

2	სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრები (შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამა)	151 000	100 728	100 728	0	100%	
	სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრები (საჯარო სკოლების (ზედა ბზუბზუ-ხარაულა) გათბობით უზრუნველყოფა)	3 760	3 760	3 760	0	100%	
	სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრები (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება)	99 473	99 473	99 473	0	100%	
3	სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა კაპიტალური ტრანსფერი (სსიპ ვახტანგ პაპუნის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის საკლასო ოთახის რემონტი და ინვენტარის შეძენა)	223 000	223 000	34 914	188 086	16%	
ჯ ა მ ი		589 333	539 061	329 158	209 903	61%	

ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების

ა ნ გ ა რ ი შ ი

იურიდიული პირის დასახელება	სულ წლის ფაქტი 2025	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი
1	2	3	4
შემოსულობები	7 702 947	0	7 702 947
შემოსავლები	7 702 947	0	7 702 947
სხვა შემოსავლები	4 201 696	0	4 201 696
.....(მიეთითოს შემოსავლის სახეობა)	4 201 696	0	4 201 696
გრანტები	3 501 250	0	3 501 250
არაფინანსური აქტივების კლება	0	0	0
ფინანსური აქტივების კლება(ნაშთის გარეშე)	0	0	0
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
საშინაო	0	0	0
საგარეო	0	0	0
გადასახდელები	7 702 947	0	7 702 947
ხარჯები	7 634 217	0	7 634 217
შრომის ანაზღაურება	5 189 055	0	5 189 055
საქონელი და მომსახურება	2 282 775	0	2 282 775
პროცენტი	0	0	0
სუბსიდიები	0	0	0
გრანტები	0	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	36 398	0	36 398
სხვა ხარჯები	125 988	0	125 988
არაფინანსური აქტივების ზრდა	68 730	0	68 730
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე)	0	0	0
ვალდებულებების კლება	0	0	0
საშინაო	0	0	0
საგარეო	0	0	0
ნაშთის ცვლილება	0	0	0

ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების

ა ნ გ ა რ ი შ ი

იურიდიული პირის დასახელება	სულ წლის ფაქტი 2025	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი
1	2	3	4
შემოსულობები	3 501 250,44	0,00	3 501 250,44
შემოსავლები	3 501 250,44	0,00	3 501 250,44
სხვა შემოსავლები	0,00	0,00	0,00
.....(მიეთითოს შემოსავლის სახეობა)	0,00		
გრანტები	3 501 250,44		3 501 250,44
არაფინანსური აქტივების კლება	0,00		
ფინანსური აქტივების კლება(ნაშთის გარეშე)	0,00		
ვალდებულებების ზრდა	0,00	0,00	0,00
საშინაო	0,00		
საგარეო	0,00		
გადასახდებლები	3 501 250,44	0,00	3 501 250,44
ხარჯები	3 452 969,01	0,00	3 452 969,01
შრომის ანაზღაურება	2 743 345,40		2 743 345,40
საქონელი და მომსახურება	677 318,98		677 318,98
პროცენტი	0,00		
სუბსიდიები	0,00		
გრანტები	0,00		
სოციალური უზრუნველყოფა	31 287,63		31 287,63
სხვა ხრჯები	1 017,00		1 017,00
არაფინანსური აქტივების ზრდა	48 281,43		48 281,43
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე)	0,00		
ვალდებულებების კლება	0,00	0,00	0,00
საშინაო	0,00		
საგარეო	0,00		
ნაშთის ცვლილება	0,00	0,00	0,00

ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების

ა ნ გ ა რ ი შ ი

იურიდიული პირის დასახელება	სულ წლის ფაქტი 2025	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი
1	2	3	4
შემოსულობები	2 085 623	0	2 085 623
შემოსავლები	2 085 623	0	2 085 623
სხვა შემოსავლები	2 085 623	0	2 085 623
.....(მიეთითოს შემოსავლის სახეობა)	2 085 623		2 085 623
გრანტები	0		
არაფინანსური აქტივების კლება	0		
ფინანსური აქტივების კლება(ნაშთის გარეშე)	0		
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
საშინაო	0		
საგარეო	0		
გადასახდელები	2 085 623	0	2 085 623
ხარჯები	2 075 289	0	2 075 289
შრომის ანაზღაურება	1 201 691		1 201 691
საქონელი და მომსახურება	867 716		867 716
პროცენტი	0		
სუბსიდიები	0		
გრანტები	0		
სოციალური უზრუნველყოფა	5 111		5 111
სხვა ხრჯები	771		771
არაფინანსური აქტივების ზრდა	10 335		10 335
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე)	0		
ვალდებულებების კლება	0	0	0
საშინაო	0		
საგარეო	0		
ნაშთის ცვლილება	0	0	0

ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების

ა ნ გ ა რ ი შ ი

იურიდიული პირის დასახელება	სულ წლის ფაქტი 2025	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი
1	2	3	4
შემოსულობები	842 449	0	842 449
შემოსავლები	842 449	0	842 449
სხვა შემოსავლები	842 449	0	842 449
.....(მიეთითოს შემოსავლის სახეობა)	842 449		842 449
გრანტები	0		
არაფინანსური აქტივების კლება	0		
ფინანსური აქტივების კლება(ნაშთის გარეშე)	0		
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
საშინაო	0		
საგარეო	0		
გადასახდებლები	842 449	0	842 449
ხარჯები	838 849	0	838 849
შრომის ანაზღაურება	450 005		450 005
საქონელი და მომსახურება	354 559		354 559
პროცენტი	0		
სუბსიდიები	0		
გრანტები	0		
სოციალური უზრუნველყოფა	0		
სხვა ხარჯები	34 285		34 285
არაფინანსური აქტივების ზრდა	3 600		3 600
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე)	0		
ვალდებულებების კლება	0	0	0
საშინაო	0		
საგარეო	0		
ნაშთის ცვლილება	0	0	0

**ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის 2025 წლის ბიუჯეტის
შესრულების**

ა ნ გ ა რ ი შ ი

იურიდიული პირის დასახელება	სულ წლის ფაქტი 2025	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი
1	2	3	4
შემოსულობები	643 865	0	643 865
შემოსავლები	643 865	0	643 865
სხვა შემოსავლები	643 865	0	643 865
.....(მიეთითოს შემოსავლის სახეობა)	643 865		643 865
გრანტები	0		
არაფინანსური აქტივების კლება	0		
ფინანსური აქტივების კლება(ნაშთის გარეშე)	0		
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
საშინაო	0		
საგარეო	0		
გადასახდელები	643 865	0	643 865
ხარჯები	642 065	0	642 065
შრომის ანაზღაურება	386 323		386 323
საქონელი და მომსახურება	166 029		166 029
პროცენტი	0		
სუბსიდიები	0		
გრანტები	0		
სოციალური უზრუნველყოფა	0		
სხვა ხარჯები	89 714		89 714
არაფინანსური აქტივების ზრდა	1 800		1 800
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე)	0		
ვალდებულებების კლება	0	0	0
საშინაო	0		
საგარეო	0		
ნაშთის ცვლილება	0	0	0

ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების

ა ნ გ ა რ ი შ ი

იურიდიული პირის დასახელება	სულ წლის ფაქტი 2025	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი
1	2	3	4
შემოსულობები	384 075	0	384 075
შემოსავლები	384 075	0	384 075
სხვა შემოსავლები	384 075	0	384 075
.....(მიეთითოს შემოსავლის სახეობა)	384 075		384 075
გრანტები	0		
არაფინანსური აქტივების კლება	0		
ფინანსური აქტივების კლება(ნაშთის გარეშე)	0		
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
საშინაო	0		
საგარეო	0		
გადასახდელები	384 075	0	384 075
ხარჯები	384 075	0	384 075
შრომის ანაზღაურება	283 600		283 600
საქონელი და მომსახურება	100 475		100 475
პროცენტი	0		
სუბსიდიები	0		
გრანტები	0		
სოციალური უზრუნველყოფა	0		
სხვა ხრჯები	0		
არაფინანსური აქტივების ზრდა	0		
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე)	0		
ვალდებულებების კლება	0	0	0
საშინაო	0		
საგარეო	0		
ნაშთის ცვლილება	0	0	0

ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების

ა ნ გ ა რ ი შ ი

იურიდიული პირის დასახელება	სულ წლის ფაქტი 2025	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი
1	2	3	4
შემოსულობები	245 684	0	245 684
შემოსავლები	245 684	0	245 684
სხვა შემოსავლები	245 684	0	245 684
.....(მიეთითოს შემოსავლის სახეობა)	245 684		245 684
გრანტები	0		
არაფინანსური აქტივების კლება	0		
ფინანსური აქტივების კლება(ნაშთის გარეშე)	0		
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
საშინაო	0		
საგარეო	0		
გადასახდელები	245 684	0	245 684
ხარჯები	240 970	0	240 970
შრომის ანაზღაურება	124 091		124 091
საქონელი და მომსახურება	116 678		116 678
პროცენტი	0		
სუბსიდიები	0		
გრანტები	0		
სოციალური უზრუნველყოფა	0		
სხვა ხრჯები	201		201
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 714		4 714
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე)	0		
ვალდებულებების კლება	0	0	0
საშინაო	0		
საგარეო	0		
ნაშთის ცვლილება	0	0	0

შპსეებ-ის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების

ანგარიში

იურიდიული პირის დასახელება	სულ წლის ფაქტი 2025	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი
1	2	3	4
შემოსულობები	3 884 604	107 232	3 777 372
შემოსავლები	3 884 604	107 232	3 777 372
სხვა შემოსავლები	3 327 840	107 232	3 220 608
.....(მიეთითოს შემოსავლის სახეობა)	3 327 840	107 232	3 220 608
გრანტები	556 764	0	556 764
არაფინანსური აქტივების კლება	0	0	0
ფინანსური აქტივების კლება(ნაშთის გარეშე)	0	0	0
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
საშინაო	0	0	0
საგარეო	0	0	0
გადასახდლები	3 873 619	98 802	3 774 817
ხარჯები	3 814 907	97 104	3 717 803
შრომის ანაზღაურება	1 537 061	5 990	1 531 071
საქონელი და მომსახურება	2 230 867	81 253	2 149 613
პროცენტი	0	0	0
სუბსიდიები	0	0	0
გრანტები	0	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	4 274	0	4 274
სხვა ხარჯები	42 706	9 861	32 845
არაფინანსური აქტივების ზრდა	57 014	0	57 014
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე)	0	0	0
ვალდებულებების კლება	1 698	1 698	0
საშინაო	1 698	1 698	0
საგარეო	0	0	0
ნაშთის ცვლილება	10 986	8 430	2 556

შპს ქედის კომუნალურსერვის ცენტრის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების

ანგარიში

იურიდიული პირის დასახელება	სულ წლის ფაქტი 2025	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი
1	2	3	4
შემოსულობები	1 870 572	8 144	1 862 428
შემოსავლები	1 870 572	8 144	1 862 428
სხვა შემოსავლები	1 870 572	8 144	1 862 428
.....(მიეთითოს შემოსავლის სახეობა)	1 870 572	8 144	1 862 428
გრანტები	0		
არაფინანსური აქტივების კლება	0		
ფინანსური აქტივების კლება(ნაშთის გარეშე)	0		
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
საშინაო	0		
საგარეო	0		
გადასახდელები	1 862 446	94	1 862 352
ხარჯები	1 808 481	94	1 808 387
შრომის ანაზღაურება	1 029 871		1 029 871
საქონელი და მომსახურება	778 610	94	778 516
პროცენტი	0		
სუბსიდიები	0		
გრანტები	0		
სოციალური უზრუნველყოფა	0		
სხვა ხრჯები	0		
არაფინანსური აქტივების ზრდა	53 965		53 965
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე)	0		
ვალდებულებების კლება	0	0	0
საშინაო	0		
საგარეო	0		
ნაშთის ცვლილება	8 126	8 050	76

შპს ქედის წყალკანალის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების

ა ნ გ ა რ ი შ ი

იურიდიული პირის დასახელება	სულ წლის ფაქტი 2025	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი
1	2	3	4
შემოსულობები	843 189,00	0,00	843 189,00
შემოსავლები	843 189,00	0,00	843 189,00
სხვა შემოსავლები	843 189,00	0,00	843 189,00
.....(მიეთითოს შემოსავლის სახეობა)	843 189,00		843 189,00
გრანტები	0,00		
არაფინანსური აქტივების კლება	0,00		
ფინანსური აქტივების კლება(ნაშთის გარეშე)	0,00		
ვალდებულებების ზრდა	0,00	0,00	0,00
საშინაო	0,00		
საგარეო	0,00		
გადასახდელები	843 189,00	0,00	843 189,00
ხარჯები	842 139,00	0,00	842 139,00
შრომის ანაზღაურება	150 290,00		150 290,00
საქონელი და მომსახურება	668 775,00		668 775,00
პროცენტი	0,00		
სუბსიდიები	0,00		
გრანტები	0,00		
სოციალური უზრუნველყოფა	4 274,00		4 274,00
სხვა ხრჯები	18 800,00		18 800,00
არაფინანსური აქტივების ზრდა	1 050,00		1 050,00
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე)	0,00		
ვალდებულებების კლება	0,00	0,00	0,00
საშინაო	0,00		
საგარეო	0,00		
ნაშთის ცვლილება	0,00	0,00	0,00

**შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის 2025 წლის
ბიუჯეტის შესრულების**

ა ნ გ ა რ ი შ ი

იურიდიული პირის დასახელება	სულ წლის ფაქტი 2025	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი
1	2	3	4
შემოსულობები	619 562	62 798	556 764
შემოსავლები	619 562	62 798	556 764
სხვა შემოსავლები	62 798	62 798	0
.....(მიეთითოს შემოსავლის სახეობა)	62 798	62 798	
გრანტები	556 764		556 764
არაფინანსური აქტივების კლება	0		
ფინანსური აქტივების კლება(ნაშთის გარეშე)	0		
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
საშინაო	0		
საგარეო	0		
გადასახდებლები	619 562	62 798	556 764
ხარჯები	617 563	62 798	554 765
შრომის ანაზღაურება	182 500		182 500
საქონელი და მომსახურება	435 063	62 798	372 265
პროცენტი	0		
სუბსიდიები	0		
გრანტები	0		
სოციალური უზრუნველყოფა	0		
სხვა ხარჯები	0		
არაფინანსური აქტივების ზრდა	1 999		1 999
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე)	0		
ვალდებულებების კლება	0	0	0
საშინაო	0		
საგარეო	0		
ნაშთის ცვლილება	0	0,00	0,00

შპს სარაგბო კლუბ ფირალების 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების

ა ნ გ ა რ ი შ ი

იურიდიული პირის დასახელება	სულ წლის ფაქტი 2025	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი
1	2	3	4
შემოსულობები	146 229	0	146 229
შემოსავლები	146 229	0	146 229
სხვა შემოსავლები	146 229	0	146 229
.....(მიეთითოს შემოსავლის სახეობა)	146 229		146 229
გრანტები	0		
არაფინანსური აქტივების კლება	0		
ფინანსური აქტივების კლება(ნაშთის გარეშე)	0		
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
საშინაო	0		
საგარეო	0		
გადასახდლები	146 229	0	146 229
ხარჯები	146 229	0	146 229
შრომის ანაზღაურება	57 550		57 550
საქონელი და მომსახურება	88 679		88 679
პროცენტი	0		
სუბსიდიები	0		
გრანტები	0		
სოციალური უზრუნველყოფა	0		
სხვა ხრჯები	0		
არაფინანსური აქტივების ზრდა	0		
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე)	0		
ვალდებულებების კლება	0	0	0
საშინაო	0		
საგარეო	0		
ნაშთის ცვლილება	0	0	0,00

შპს ქედის ავტოსატრანსპორტოს 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების

ანგარიში

იურიდიული პირის დასახელება	სულ წლის ფაქტი 2025	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი
1	2	3	4
შემოსულობები	405 052	36 290	368 762
შემოსავლები	405 052	36 290	368 762
სხვა შემოსავლები	405 052	36 290	368 762
.....(მიეთითოს შემოსავლის სახეობა)	405 052	36 290	368 762
გრანტები	0		
არაფინანსური აქტივების კლება	0		
ფინანსური აქტივების კლება(ნაშთის გარეშე)	0		
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
საშინაო	0		
საგარეო	0		
გადასახდელები	402 193	35 910	366 283
ხარჯები	400 495	34 212	366 283
შრომის ანაზღაურება	116 850	5 990	110 860
საქონელი და მომსახურება	259 739	18 361	241 378
პროცენტი	0		
სუბსიდიები	0		
გრანტები	0		
სოციალური უზრუნველყოფა	0		
სხვა ხარჯები	23 906	9 861	14 045
არაფინანსური აქტივების ზრდა	0		
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე)	0		
ვალდებულებების კლება	1 698	1 698	0
საშინაო	1 698	1 698	
საგარეო	0		
ნაშთის ცვლილება	2 860	380	2 480



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2026 წლის -- მარტი

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონების - შპს „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის მართვის უფლებით, ვადით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 124-ე მუხლის, 125-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 126-ე მუხლის, 127-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს მამუკა თურმანიძეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონების - შპს „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის, მართვის უფლებით ვადით ელექტრონული აუქციონის ფორმით გადაცემაზე.

მუხლი 2.

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონების - შპს „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის მართვის უფლებით გადაცემის საწყისი ღირებულება განისაზღვრა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის (№001631526; 09.03.2026 წლის) მიხედვით, რომელმაც შეადგინა წელიწადში 23622 (ოცდასამი ათას ექვსას ოცდაორი) ლარი.

მუხლი 3.

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ.

მუხლი 4.

მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 5.

განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალამემ.

მუხლი 6.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

მუხლი 7.

განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონების - შპს „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის მართვის უფლებით, ვადით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 124-ე მუხლის, 125-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 126-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, რათა მან განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონების შპს „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის ელექტრონული აუქციონის წესით მართვის უფლებით გადაცემა. სწორედ ამ მიზეზით ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შესაბამისი მოთხოვნით, სამართლებრივი აქტის - საკრებულოს განკარგულების პროექტით და თანდართული საქმის მასალებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონების შპს „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის ელექტრონული აუქციონის ფორმით მართვის უფლებით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღება.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წელში შემოვიდა შპს „პიკა“-ს (ს/კ 445809714) წერილი, რომლითაც შემოთავაზებულია წინადადება, საფეხბურთო კლუბ „ბეთლემი“-ს საკუთრების უფლებით გადაცემა შესაბამისი პირობების გათვალისწინებით. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქედის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს შპს „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს (ს/კ 446754245) 100%-იანი წილის მფლობელ პარტნიორს. წესდების თანახმად, საზოგადოების მიზანია ქართული ფეხბურთის პოპულარიზაცია, ქედის საფეხბურთო ტრადიციების აღდგენა და განვითარება, ეროვნულ ან/და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის მიღება. მიმდინარე პერიოდისათვის საზოგადოებას არ აქვს რაიმე სახის ვალდებულებები, არ ერიცხება არც დებიტორული და არც კრედიტორული დავალიანება, ასევე საკუთრებაში არ აქვს რაიმე სახის უძრავი ქონება. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის (№001631526 09/03/2026წ) მიხედვით, საფეხბურთო კლუბის საბაზრო ღირებულება შეადგენს 189 282 ლარს, ხოლო მართვის უფლებით გადაცემის ღირებულება, წელიწადში შესაძლებელია განისაზღვროს საორიენტაციოდ 23 622 (ოცდასამი ათას ექვსას ოცდაორი) ლარის ოდენობით. საფეხბურთო კლუბის მართვის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, შპს „პიკა“-ს შემოთავაზებით მათ მიერ განხორციელდება საფეხბურთო კლუბის რანგით მაღალ ლიგაში დაწინაურება ეტაპობრივად, ბავშვთა საფეხბურთო ჯგუფების ჩამოყალიბება, ბავშვთა ასაკობრივი გუნდების მწვრთნელთა გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით და სხვა. დღეის მდგომარეობით საფეხბურთო კლუბი „ბეთლემი“ ასპარეზობს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მესამე ლიგაში და მე-2 ტურის შემდეგ ორი წაგებით 16 გუნდიან ლიგაში ბოლოსწინა მე-15 ადგილზეა. საფეხბურთო კლუბი „ბეთლემი“ ფინანსდება მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოყოფილი ფინანსებით, რომელიც წელიწადში შეადგენს 200 000 (ორასიათასი) ლარს, რაც კონკურენტუნარიანი გუნდის ჩამოყალიბებისათვის არ არის საკმარისი. მუნიციპალიტეტის შეზღუდული ფინანსებიდან გამომდინარე ვერ ხერხდება კლუბის დამატებითი დაფინანსება, რის გამოც კლუბს გასულ სეზონში მე-3 ლიგიდან გავარდნის საფრთხე შეექმნა. გამომდინარე აქედან, საფეხბურთო კლუბის გასხვისება და ინვესტორის მხრიდან კლუბში დამატებითი ფინანსების დაბანდება გაზრდის კლუბის კონკურენტუნარიანობას და შესაძლებელი გახდება უფრო დიდი მიზნების მიღწევა. ამიტომ მიზანშეწონილია, მოხდეს შპს „საფეხბურთო კლუბ ბეთლემი“-ს

100%-იანი წილის მართვის უფლებით გადაცემა ელექტრონული აუქციონის ფორმით ვადით, რომლის წლიური საწყისი საორიენტაციო მართვის უფლებით გადაცემის საფასური აუდიტის დასკვნის შესაბამისად შეადგენს 23 622 (ოცდასამი ათას ექვსას ოცდაორი) ლარს, შესაბამისად განკარგვის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებით შემოსავლებს გააჩენს.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემა, რათა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონების შპს „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის მართვის უფლებით 10 წლის ვადით გადაცემაზე ელექტრონული აუქციონის გამოცხადება. ასევე საწყისი წლიური საფასური განისაზღვრა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის (№003614923; 30.05.2023 წლის) მიხედვით, რომელიც შეადგინს 23 622 (ოცდასამი ათას ექვსას ოცდაორი) ლარის. აგრეთვე განკარგულება აწესრიგებს მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლს, რომელსაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია. გარდა ამისა განკარგულებით წესრიგდება მისი გაცნობის გასაჩივრების და ძალაში შესვლის საკითხები.

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემდეგ, განახორციელოს ელექტრონული აუქციონის გამოცხადება.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის თვალსაზრისით, ვინაიდან მუნიციპალიტეტი მიიღებს წილის გასხვისების საფასურს, რომლის ოდენობაც დაფიქსირდება აუქციონის საბოლოო შედეგის დროს.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი გულადი წითელაძე.

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთა
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B25129441, 12/09/2025 16:50:19

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს საფეხბურთო კლუბი ბეთლემი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	446754245
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	14/04/2011
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქედის რაიონი, დაბა ქედა, კოსტავას ქ., №2

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის
მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- საერთო კრება
- დირექტორი

ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა

- დირექტორი
სულხან ჭავჭავაძე, 61008003946 ,ერთპიროვნული

კაპიტალი

ნებადართული კაპიტალი	არ არის განსაზღვრული
განთავსებული კაპიტალი	არ არის განსაზღვრული
გამოშვებული წილი	არ არის განსაზღვრული
განთავსებული წილი	100 ერთეული

პარტნიორები

კლასის ტიპი: /კლასის გარეშე/ , რაოდენობა:100, ნომინალური ღირებულება:არ არის განსაზღვრული

მესაკუთრე	რაოდენობა	წილი	წილის მმართველი
ქედის მუნიციპალიტეტი, 246762061	100	100%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახდი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405 405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405 405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405 405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება („შპს“) „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“ არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი სამეწარმეო საზოგადოება (იურიდიული პირი), რომლის დამფუძნებელი და პარტნიორია ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ხოლო ამ საზოგადოების ვალდებულებებისთვის პარტნიორის პასუხისმგებლობა შეზღუდულია.
2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოშობილად ითვლება და იურიდიული პირის სტატუსს იძენს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ წესდებით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.
4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნის მიზანია მართლზომიერი, არაერთჯერადი და დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის საფუძველზე მოგების მიღება. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა. ის საქმიანობა, რომლის განხორციელებაც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის/ავტორიზაციის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების ან/და ავტორიზაციის მომენტიდან.
5. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თავისი მიზნების მისაღწევად ფლობს ქონებას, იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს და კისრულობს ვალდებულებებს, ასევე შეუძლია თავისი სახელით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადოს გარიგებები, განსაზღვროს ამ ხელშეკრულების შინაარსი, დადოს ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას, ასევე შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩელე ან/და მოპასუხე სასამართლოში.
6. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების

ვალდებულებებისთვის საზოგადოების პარტნიორი და ხელმძღვანელი პასუხს არ აგებენ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება პასუხს არ აგებს პარტნიორთა ვალდებულებებისთვის.

7. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. იგი თავად იღებს გადაწყვეტილებას მისთვის მნიშვნელოვან საკითხზე. საზოგადოება შედგება შესაბამისი ორგანოებისაგან, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მართვასა და წარმომადგენლობას. საზოგადოების მართვის ორგანოები და მათი უფლებამოსილებები განსაზღვრულია სადამფუძნებლო შეთანხმებით. ამასთან, აღნიშნული ორგანოები საქმიანობას ახორციელებენ მხოლოდ მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

8. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ასევე, საზოგადოებას აქვს ანგარიშსწორების ანგარიში საბანკო დაწესებულებებში, ელექტრონული შტამპი, ბეჭედი, ბლანკი და ემბლემა.

9. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

10. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შეუძლია პარტნიორთან შეთანხმებით დაარსოს ფილიალი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 2. საზოგადოების საქმიანობის სფერო

1. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი საგანია:

ა) კვალიფიცირებული ფეხბურთელების მომზადება;

ბ) ფეხბურთელების გაერთიანება საკლუბო საწყისებზე, მათი პროფესიული ინტერესების დაცვა, ჩემპიონატებში მონაწილეობის მიღება;

გ) ფეხბურთის პოპულარიზაცია;

დ) საფეხბურთო კლუბის წვრთნისა და მომზადების მიზნით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, პროფესიონალ ფეხბურთელთა გუნდებისათვის ღირსეული ცვლის მომზადება;

ე) სპორტული ღონისძიებების შემუშავება, ორგანიზება;

ვ) სპორტსმენტ მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელმძღვანელობა, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი სამუშაოების განხორციელება;

ზ) საქართველოს რეგიონებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან სპორტულ, მეცნიერულ და სხვა სფეროებში თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და მათი განხორციელების ხელშეწყობა;

თ) კავშირების დამყარება ქვეყნის და უცხოურ საფეხბურთო კლუბებთან, სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებსა და ჩემპიონატებში მონაწილეობა;

მუხლი 3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი და მისი უფლება-მოვალეობები

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების 100%-იანი წილის მესაკუთრეა.
2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორს გააჩნია და ეკისრება ამ წესდებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უფლებები და ვალდებულებები.
3. პარტნიორებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვაში ამ წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველი ორგანოები

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველი ორგანოებია: საერთო კრება და ხელმძღვანელი ორგანო - დირექტორი.
2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანოები და მათი წევრები ახორციელებენ საქმიანობას და იღებენ გადაწყვეტილებებს მხოლოდ კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 5. საერთო კრება

1. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ყველა პარტნიორს.
2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ერთადერთი პარტნიორი ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ჰყავს, პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას ის ერთპიროვნულად ახორციელებს. ამგვარი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ფორმდება.
3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, წლიური ბალანსის შედგენიდან არაუგვიანეს 6 თვისა ატარებს მორიგ საერთო კრებას. მორიგ საერთო კრებას იწვევს და მისი ჩატარებისთვის პასუხისმგებელია საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო - დირექტორი.
4. საერთო კრება ტარდება დირექტორის მიერ საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე (ელექტრონულ მისამართზე) საჯაროდ გამოქვეყნებიდან და პარტნიორისთვის მოსაწვევის გაგზავნიდან სულ ცოტა 14 დღის შემდეგ. საერთო კრების ჩატარების ადგილი და დრო გაუმართლებლად არ უნდა ზღუდავდეს პარტნიორის საერთო კრებაში მონაწილეობის უფლებას. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება/მოსაწვევი უნდა

შეიცავდეს საერთო კრების დღის წესრიგს. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე (ელექტრონულ მისამართზე) საჯაროდ გამოქვეყნებიდან 7 დღის შემდეგ, პარტნიორისთვის კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პარტნიორი დაამტკიცებს, რომ სხვა პარტნიორისთვის კრების მოწვევის თაობაზე უფრო ადრე იყო ცნობილი.

5. პარტნიორს უფლება აქვს დირექტორს მოსთხოვოს საერთო კრების დღის წესრიგის თითოეული საკითხის თაობაზე განმარტებების გაცემა და წარადგინოს თავისი მოთხოვნა/აზრი. თუ პარტნიორის მოთხოვნა საერთო კრებამდე სულ ცოტა 3 დღით ადრე წერილობით იქნება წარდგენილი, იგი უნდა დაკმაყოფილდეს ან შეტანილი უნდა იქნეს დღის წესრიგში ერთ-ერთ საკითხად. პარტნიორს შეუძლია ამავე წესით მოითხოვოს დღის წესრიგში საკითხის შეტანა/დამატება. საერთო კრების დღის წესრიგის საკითხის თაობაზე განმარტებების გაცემაზე ან დღის წესრიგში საკითხის შეტანის მოთხოვნაზე უარის თქმა დასაშვებია მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების არსებითი ინტერესების დასაცავად, რაც წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული.

6. პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება აქვს დირექტორს, ხოლო ხელმძღვანელი პირის არყოფნის შემთხვევაში (გარდაცვალება, თანამდებობიდან გადადგომა, მათი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტა და სხვა) – პარტნიორს.

7. პარტნიორს, უფლება აქვს წესდების შესაბამისად კრების მოწვევის უფლებამოსილების მქონე ორგანოს მოსთხოვოს პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევა. პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა ბოლო საერთო კრების ჩატარებიდან არაუადრეს 1 თვისა.

8. პარტნიორთა რიგგარეშე კრება მოიწვევა და ტარდება საერთო კრებისთვის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ წესდებით დადგენილი წესების დაცვით.

9. საერთო კრება ირჩევს საერთო კრების თავმჯდომარეს. საერთო კრების თავმჯდომარის არჩევამდე ან იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარე არ იქნა არჩეული, საერთო კრებას თავმჯდომარეობს მისი მომწვევი პირი.

10. საერთო კრების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებისა და ორგანოებისთვის.

11. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს იმ საკითხზე, რომელიც კანონით და ამ წესდებით საერთო კრების უფლებამოსილებას განეკუთვნება. საერთო კრების უფლებამოსილება შეიძლება გაფართოვდეს პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

12. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით.

13. საერთო კრებაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ აგრეთვე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი და სხვა პირები.

14. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ ხმის მიცემისა და პარტნიორთა გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის წესები და პირობები დგინდება ამ წესდებითა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით.

15. საზოგადოების პარტნიორი საერთო კრებაში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობს. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება (მინდობილობა) გაიცემა წერილობით, ერთ ან რამდენიმე საერთო კრებაზე წარმომადგენლობის ან გარკვეული ვადის განმავლობაში წარმომადგენლობის უფლებით.

16. საერთო კრებაში პარტნიორის წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის თაობაზე უნდა ეცნობოს საერთო კრების მომწვევ ორგანოს და მას შესაბამისი მინდობილობა ამ კრების ჩატარებამდე ან კრების დაწყებისთანავე უნდა წარედგინოს.

17. საერთო კრების მოწვევის, მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ ამ კრების დასრულებიდან 15 დღის ვადაში დება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საერთო კრების მიერ არჩეული საერთო კრების თავმჯდომარე. კრების ოქმის ნამდვილობასა და მასში მითითებული ფაქტების სისწორეზე პასუხისმგებელია კრების თავმჯდომარე. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საერთო კრების ოქმს ადგენს და ამოწმებს ნოტარიუსი. საერთო კრების ოქმი დაუყოვნებლივ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხარჯზე ეგზავნება პარტნიორს.

18. საერთო კრების ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) საერთო კრების ჩატარების ადგილი და თარიღი/დრო;

გ) მითითება საერთო კრების მოწვევის პროცედურის დაცვასა და ამ კრების გადაწყვეტილებაუნარიანობაზე. ოქმს შეიძლება დაერთოს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებული დოკუმენტები;

დ) ძირითად დოკუმენტში ან დანართის სახით – საერთო კრების მუშაობაში მონაწილე ან მასზე დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორთა და სხვა დამსწრე პირთა ჩამონათვალი და საიდენტიფიკაციო მონაცემები. წარმომადგენლობის შემთხვევაში ოქმს უნდა დაერთოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი ან უნდა მიეთითოს ასეთ დოკუმენტზე, თუ მას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სხვა დოკუმენტებთან ერთად ინახავს;

ე) საერთო კრების თავმჯდომარის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ვ) საერთო კრების დღის წესრიგი;

ზ) საერთო კრების გადაწყვეტილება. მასში მითითებული უნდა იყოს კენჭისყრის შედეგები;

თ) საერთო კრების მონაწილის მიერ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების მიმართ განსხვავებული აზრის გამოთქმის ან საწინააღმდეგო პოზიციის გამოხატვის შემთხვევაში – კრების შესაბამისი მონაწილის ვინაობა და საწინააღმდეგო პოზიციის შინაარსი, თუ იგი მოითხოვს ამ აზრის/პოზიციის ოქმში შეტანას.

მუხლი 6. საერთო კრების უფლებამოსილება

1. პარტნიორთა გადაწყვეტილების მიღება აუცილებელია შემდეგ საკითხებზე:

ა) ფინანსური ანგარიშის დამტკიცება;

ბ) საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება;

ზ) ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშვნა, მასთან სასამსახურო ხელშეკრულების დადება და მისი თანამდებობიდან გათავისუფლება;

ი) დირექტორის ანგარიშების დამტკიცება;

კ) დირექტორის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესში მონაწილეობა (მათ შორის, ამ პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნა);

ლ) საზოგადოების რეორგანიზაცია;

მ) საზოგადოების დაშლა;

ნ) საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილება/წესდების ახალი რედაქციის მიღება.

2. საერთო კრების გადაწყვეტილება/ოქმი ნამდვილია, თუ:

ა) საერთო კრება მოწვეულია უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი წესით;

ბ) საერთო კრების ოქმი დამოწმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) საერთო კრების მოწვევის შესახებ ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნებულ წერილობით შეტყობინებაში/პარტნიორებისთვის გაგზავნილ მოსაწვევეში მითითებულია საერთო კრების დღის წესრიგი, საზოგადოების საფირმო სახელწოდება, საერთო კრების ჩატარების ადგილი, თარიღი და დაწყების დრო;

დ) დაცულია საერთო კრების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების პარტნიორისთვის შეტყობინების წესი;

ე) საერთო კრებაზე განსახილველი საკითხი განეკუთვნება საერთო კრების უფლებამოსილებას;

ვ) გადაწყვეტილება სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილების/წესდების ახალი რედაქციის მიღების შესახებ არ ეწინააღმდეგება კანონს;

ზ) გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება კანონის იმ ნორმებს, რომელთა უმთავრესი მიზანია კრედიტორთა უფლებების დაცვა;

თ) გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

3. საერთო კრების გადაწყვეტილება/ოქმი საჩივრდება სასამართლოში.

4. ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილობის თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარუდგინონ მარეგისტრირებელ ორგანოს, თუ საერთო კრების გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძველზე უკვე განხორციელდა რეგისტრაცია.

5. ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან საერთო კრების გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის ბათილობის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს პარტნიორს.

მუხლი 7. ხელმძღვანელი ორგანო

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ხელმძღვანელობს ერთპიროვნულად და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს დირექტორი. დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს.

2. ხელმძღვანელი პირი ვალდებულია ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების განხორციელებისას პარტნიორის გადაწყვეტილებას დაემორჩილოს.

3. ხელმძღვანელი პირი უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ყველა იმ საკითხზე, რომელიც, კანონის ან ამ წესდების თანახმად, არ განეკუთვნება პარტნიორის კომპეტენციას.

4. ხელმძღვანელ პირთან ურთიერთობის შინაარსი და მისი საქმიანობის ანაზღაურება განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და სასამსახურო ხელშეკრულებით.

5. ხელმძღვანელი პირის გარდაცვალების, თანამდებობიდან გადადგომის ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტის შემთხვევაში პარტნიორებმა ახალი ხელმძღვანელი პირი 1 თვის ვადაში უნდა დანიშნოს.

6. საზოგადოების ხელმძღვანელ პირს დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დამფუძნებელი/პარტნიორი ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო - მერი.

7. პარტნიორი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს თანამდებობიდან ხელმძღვანელი პირი შესაბამისი საფუძვლის მითითების გარეშე. ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ამ დებულებას ეწინააღმდეგება, ბათილია.

8. ხელმძღვანელ პირს უფლება აქვს გადადგეს თანამდებობიდან. ასეთ შემთხვევაში ხელმძღვანელი ვალდებულია დაიცვას საზოგადოებასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროცედურები.

მუხლი 8. საზოგადოების ხელმძღვანელობის ზოგადი პრინციპები

1. ხელმძღვანელი პირი ვალდებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, კერძოდ, მასზე ისე ზრუნავდეს, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ეზრუნა/ემოქმედა ჩვეულებრივ, საღად მოაზროვნე პირს, იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება საზოგადოებისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია.

2. ხელმძღვანელი პირი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს კეთილსინდისიერების მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობით მიყენებული ზიანისთვის. დაუშვებელია შეიზღუდოს ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა ამ მოვალეობის განზრახ შეუსრულებლობისთვის.

3. ხელმძღვანელი პირის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს ხელმძღვანელ ორგანოს, სხვა ხელმძღვანელ პირს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით – თითოეულ პარტნიორს.

4. ხელმძღვანელი პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ იგი თავისი ქმედებით საერთო კრების გადაწყვეტილებას ასრულებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან საერთო კრების გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ან იცოდა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ზიანს გამოიწვევდა, მაგრამ ამის თაობაზე არ შეატყობინა საერთო კრებას გადაწყვეტილების მიღებამდე ან აღსრულებამდე.

5. თუ გარიგების ღირებულება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების 50 პროცენტს აღემატება, გარიგება საერთო კრებამ უნდა დაამტკიცოს.

6. თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გადახდისუუნაროა ან გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე დგას, ხელმძღვანელმა პირმა ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ გადახდისუუნარობის დადგომის მომენტიდან არაუგვიანეს 3

კვირისა, უნდა განაცხადოს გადახდისუუნარობის თაობაზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება ბრალეულად გაჭიანურებული არ არის, თუ ხელმძღვანელი პირი ზრუნვის მოვალეობას ჯეროვნად ასრულებს.

7. ზრუნვის მოვალეობა არ არის დარღვეული და ხელმძღვანელი პირი არ არის ვალდებული, ანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მის მიერ მიღებული სამეწარმეო გადაწყვეტილებით მიადგა, თუ ხელმძღვანელ პირს გონივრულად შეეძლო ევარაუდა, რომ იგი სამეწარმეო გადაწყვეტილებას საკმარისი და სანდო ინფორმაციის საფუძველზე, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად და ინტერესთა კონფლიქტის ან სხვათა ზეგავლენის გარეშე იღებდა. აღნიშნული წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სამეწარმეო გადაწყვეტილება კანონით ან ამ წესდებით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევით არის მიღებული.

8. ხელმძღვანელ პირს არ აქვს უფლება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების თანხმობის გარეშე განახორციელოს იგივე საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ან იყოს იმავე სფეროში მოქმედი სხვა სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირი. ხელმძღვანელ პირთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებით აღნიშნული ვალდებულება შეიძლება ძალაში დარჩეს მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგაც, მაგრამ არაუმეტეს 3 წლის ვადით. ამ ვალდებულების დარღვევისთვის შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს კომპენსაცია. მისი ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება სასამსახურო ხელშეკრულებით ან მხარეთა დამატებითი შეთანხმებით. კონკურენციის აკრძალვის წესის დარღვევის შემთხვევაში საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს, მისთვის მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციასთან ერთად, შეთანხმებული პირგასამტეხლოს გადახდაც მოსთხოვოს. მას ასევე შეუძლია დამრღვევს კომპენსაციის ნაცვლად მოსთხოვოს საკუთარი ან მესამე პირის სახელით დადებული გარიგებიდან დამრღვევის მიერ მიღებული სარგებლის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა. ამ უფლების გამოყენება შეუძლია ხელმძღვანელ ორგანოს, სხვა ხელმძღვანელ პირს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – თითოეულ პარტნიორს.

9. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობის გაცემა შეუძლია საერთო კრებას. აღნიშნული თანხმობა შეიძლება გაიცეს როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულ საქმიანობაზე, გარიგების სახესა და სამეწარმეო საზოგადოებაში მონაწილეობაზე. თანხმობის გაცემაზე დაუსაბუთებლად უარის თქმა დაუშვებელია. საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობა გაცემულად მიიჩნევა, თუ საზოგადოების ხელმძღვანელი პირის დანიშნისას პარტნიორებმა იცოდნენ, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი პირი ახორციელებდა აღნიშნულ საქმიანობას, მაგრამ მისთვის ამ საქმიანობის შეწყვეტა არ მოუთხოვიათ.

10. ხელმძღვანელ პირს არ აქვს უფლება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წინასწარი თანხმობის გარეშე, პირადი სარგებლის ან, ამ საზოგადოების გარდა, სხვა პირთა მიერ სარგებლის მისაღებად ისარგებლოს საზოგადოების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანი შესაძლებლობით, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა მოვალეობის შესრულებისას ან თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე და რომელიც, გონივრული თვალსაზრისით, საზოგადოების ინტერესის საგანი შეიძლება იყოს. საზოგადოების წინასწარი თანხმობის მიღება საჭირო არ არის, თუ საერთო კრებამ უკვე იმსჯელა აღნიშნულ შესაძლებლობაზე და უარი თქვა მის გამოყენებაზე. ეს ვალდებულება ძალაში რჩება ხელმძღვანელი პირის თანამდებობიდან გათავისუფლებიდან არაუმეტეს 3 წლისა. ხელმძღვანელი პირთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებით შეიძლება უფრო მცირე ვადა დადგინდეს. საქმიანი შესაძლებლობით სარგებლობაზე წინასწარი თანხმობის გაცემა შეუძლია საერთო კრებას.

11. საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვის წესის დარღვევის შემთხვევაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს მოსთხოვოს ამ დარღვევით საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის (მათ შორის, მიუღებელი შემოსავლის) ანაზღაურება. საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს ზიანის ანაზღაურების ნაცვლად მოსთხოვოს საკუთარი ან მესამე პირის სახელით დადებული გარიგებიდან დამრღვევის მიერ მიღებული სარგებლის საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა. ამ მოთხოვნის უფლების გამოყენება შეუძლია ხელმძღვანელ ორგანოს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – თითოეულ პარტნიორს.

12. ვალდებულების რამდენიმე ხელმძღვანელი პირის მოქმედებით ან უმოქმედობით შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წინაშე პასუხს სოლიდარულად აგებენ.

13. საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელმძღვანელი პირის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის ან მასთან მორიგების თაობაზე, თუ ამ გადაწყვეტილებას არ შეეწინააღმდეგება პარტნიორი. ხელმძღვანელი პირი ასევე თავისუფლდება საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან, თუ იგი თავისი ქმედებით საერთო კრების გადაწყვეტილებას ასრულებდა. ხელმძღვანელ პირს, რომლის სამეწარმეო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან გათავისუფლების საკითხიც განიხილება, ეკრძალება ამ საკითხზე კენჭისყრისას ხმის მიცემა.

14. ხელმძღვანელ პირთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებით არ შეიძლება გამოირიცხოს ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა მის მიერ ვალდებულების განზრახ შეუსრულებლობით საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისთვის.

მუხლი 9. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამლა და რეორგანიზაცია

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამლის საფუძვლებია:

ა) საზოგადოების პარტნიორთა გადაწყვეტილება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაშლის შესახებ;

ბ) საზოგადოების პარტნიორთა სავალდებულო რაოდენობასთან დაკავშირებით კანონით დადგენილი მოთხოვნის დარღვევა;

გ) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

დ) საზოგადოების პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაშლის შესახებ.

2. საზოგადოების დაშლა ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

3. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შეიძლება დაიშალოს სასამართლოს გადაწყვეტილებით. მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს, თუ პარტნიორმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია კანონით ან ამ წესდებით მისთვის დაკისრებული არსებითი მოვალეობა, ან თუ პარტნიორი მოვალეობას ვეღარ ასრულებს და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიზანი ვეღარ მიიღწევა.

4. დასაშვებია, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეორგანიზაცია განხორციელდეს შემდეგი ფორმებით:

ა) საზოგადოების გარდაქმნა;

ბ) სხვა სამეწარმეო საზოგადოებასთან შერწყმა (მიერთება ან გაერთიანება);

გ) საზოგადოების გაყოფა (დაყოფა ან გამოყოფა).

5. საზოგადოების რეორგანიზაცია ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

6. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაშლისა და რეორგანიზაციის პროცესში უნდა იქნეს გათვალისწინებული „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პარტნიორთა უფლებები და მოვალეობები.

7. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესს ერთობლივად ხელმძღვანელობენ ხელმძღვანელი პირები, რომლებიც ინიშნებიან ლიკვიდატორებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საერთო კრების გადაწყვეტილება ლიკვიდატორებად სხვა პირების დანიშვნას ითვალისწინებს.

8. ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიანი ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებულ გვერდზე (ელექტრონულ მისამართზე) ან თავიანთ ვებგვერდზე განცხადების გამოქვეყნებით დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ კრედიტორებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაშლის შესახებ და უნდა მოიწვიონ ისინი მოთხოვნების განსაცხადებლად.

9. ლიკვიდატორი უნდა აკმაყოფილებდეს სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

10. საერთო კრება უფლებამოსილია ნებისმიერ მომენტში გაათავისუფლოს ლიკვიდატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლიკვიდატორი სასამართლოს მიერ არის დანიშნული.

11. ხელმძღვანელი პირი ვალდებულია მარეგისტრირებელ ორგანოს მიმართოს განცხადებით ლიკვიდატორების მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მიზნით. მარეგისტრირებელი ორგანოსთვის ამ განცხადებით მიმართვის უფლება აქვს პარტნიორს. აღნიშნულ განცხადებას უნდა ერთოდეს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული დოკუმენტი ლიკვიდატორის დანიშვნის ან გათავისუფლების და მისი უფლებამოსილების შესახებ, ლიკვიდატორის ხელმოწერის ნიმუში, ხოლო თუ ლიკვიდატორი ხელმძღვანელი პირი არ არის – აგრეთვე ლიკვიდატორის თანხმობა. ლიკვიდატორის ან მისი უფლებამოსილების ყოველი ცვლილებისას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ცვლილების რეგისტრაციის მიზნით განცხადებას წარადგენენ ლიკვიდატორები.

12. ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისას ლიკვიდატორები სარგებლობენ იმავე უფლებებით და ეკისრებათ იგივე მოვალეობები, რომლებიც აქვთ ხელმძღვანელ პირებს, გარდა კონკურენციის აკრძალვისა. ლიკვიდატორებზე ვრცელდება განსაკუთრებულ ვითარებაში ზრუნვის მოვალეობა. ლიკვიდატორები ვალდებული არიან დაასრულონ მიმდინარე საქმეები, მოახდინონ აქტივების რეალიზაცია და შეასრულონ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ვალდებულებები. ლიკვიდატორებს უფლება აქვთ, დადონ ახალი გარიგებები, თუ ეს ლიკვიდაციისთვის აუცილებელია.

13. ლიკვიდაციის პროცესში მყოფი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონება ნაწილდება პარტნიორთა შორის, მათ წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად.

14. თუ შენატანები სრულად არ იყო განხორციელებული, თავდაპირველად ბრუნდება შენატანები ან მათი ღირებულება, ხოლო ნარჩენი ქონება ნაწილდება პარტნიორთა წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად.

15. თუ ქონება შენატანების დასაბრუნებლად საკმარისი არ არის, ნარჩენი ქონება ნაწილდება წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად, ხოლო თუკი შენატანები სრულად არ იყო განხორციელებული – განხორციელებული შენატანების პროპორციულად.

16. ქონება შეიძლება განაწილდეს მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ვალდებულებების დაფარვიდან და საზოგადოების დაშლის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 5 თვის შემდეგ. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქონება შეიძლება განაწილდეს საზოგადოების დაშლის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 3 თვის შემდეგ, თუ არსებობს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, რომ ყველა ვალდებულება შესრულებულია და, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ქონების განაწილება საფრთხეს არ უქმნის მესამე პირთა უფლებებს.

17. თუ ცნობილი კრედიტორები არ განაცხადებენ თავიანთი მოთხოვნების შესახებ, ქონება შეიძლება განაწილდეს მხოლოდ მათი მოთხოვნების შესაბამისი ღირებულების სასამართლოს ან ნოტარიუსის სადეკლარაციო ანგარიშზე განთავსების შემდეგ.

18. თუ ვალდებულება სადავოა ან მისი შესრულების ვადა არ დამდგარა, ქონება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში განაწილდეს, თუკი კრედიტორს წარედგინება ვალდებულების ტოლფასი უზრუნველყოფა.

19. პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე დაშლილმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ შეიძლება გააგრძელოს არსებობა, თუ ამას გადაწყვეტს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით და საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება არ დაწყებულა.

20. დაშლილი საზოგადოების მიერ არსებობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას მარეგისტრირებელ ორგანოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომეციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციისთვის ლიკვიდატორები წარუდგენენ. მათვე ეკისრებათ იმის დადასტურების ვალდებულება, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება დაწყებული არ არის.

21. დაშლილი საზოგადოების მიერ არსებობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის მხოლოდ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომეციული) იურიდიული პირების რეესტრში მისი რეგისტრაციის შემდეგ.

22. საზოგადოების ქონების სრულად განაწილება იწვევს საწარმოს ლიკვიდაციის დასრულებას. საწარმოს ლიკვიდაციის პროცესი უნდა დასრულდეს საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 4 თვისა, ხოლო საგადასახადო შემოწმების ჩატარების ვადის გაგრძელების შემთხვევაში – საგადასახადო შემოწმების დასრულების შესახებ ინფორმაციის მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

23. ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა მიმართონ ლიკვიდაციის რეგისტრაციის მოთხოვნით, რომლის საფუძველზედაც მარეგისტრირებელი ორგანო გააუქმებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაციას.

მუხლი 10. ბუღალტრული აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი

1. საზოგადოების ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს, ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ხდება და აუდიტი ხორციელდება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. აუდიტის განხორციელებაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორისა და მმართველობითი ორგანოს წევრის მონაწილეობამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას აუდიტორის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას.
3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი პირები ერთობლივად არიან პასუხისმგებელი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისთვის.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

1. წესდებაში ცვლილებებისა/დამატებების შეტანა დაიშვება პარტნიორის გადაწყვეტილების შემთხვევაში, რომელიც ძალაში შედის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.
2. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

სადამფუძნებლო შეთანხმება

(შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემები/სარეგისტრაციო განაცხადი)

* - სიმბოლოთი აღნიშნული ველების შევსება სავალდებულოა

სამართლებრივი ფორმა --- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

***საფირმო სახელწოდება** - შპს „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“

უნდა განისაზღვროს ქართულ ენაზე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვლისწინებული წესით

*** საფირმო სახელწოდება ინგლისურ ენაზე** - „Football Club Betlemi“ LLC

უნდა შეესაბამებოდეს ქართულ ენაზე განსაზღვრულ სახელწოდებას

*** იურიდიული მისამართი** - საქართველო, ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, მ. კოსტავას ქუჩა №2.

(საზოგადოების ფიზიკური (ფაქტობრივი) მისამართი)

კაპიტალი (იმ შემთხვევაში თუ განსაზღვრულია)

ნებადართული კაპიტალი შეადგენს..... ლარს

კაპიტალის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც შპს-ს შეუძლია მომავალში მიიღოს წილების განთავსების გადაწყვეტილება

განთავსებული კაპიტალი შეადგენს..... ლარს

განთავსებული კაპიტალი არის სამეწარმეო საზოგადოების მიერ განსაზღვრული ფულადი ოდენობა, რომელიც უნდა იყოს საზოგადოების განთავსებული წილების ნომინალური ღირებულებათა ჯამის ტოლი, რომლის განაღდება (შევსება) საზოგადოების რეგისტრაციის მომენტისთვის არ არის სავალდებულო

არსებობის შემთხვევაში წილთა კლასები

..... კლასი
(კლასის დასახელება)

..... კლასი
(კლასის დასახელება)

*** განთავსებული წილების რაოდენობა შეადგენს - 100 - ერთეულს**

წილების ჯამური რაოდენობა, რომელიც გასცა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ საზღაურის სანაცვლოდ, მიუხედავად იმისა, მიღებული აქვს თუ არა ამ სამეწარმეო საზოგადოებას საზღაური. წილის კლასების არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეთითოს როგორც ჯამურად (ყველა კლასის წილთა ჯამი), ასევე ინდივიდუალურად თითოეული კლასის წილთა რაოდენობა. გამოხატული უნდა იყოს მთელი რიცხვით

წილთა კლასების არსებობის შემთხვევაში განთავსებული წილების რაოდენობა

..... კლასის განთავსებული წილების რაოდენობა შეადგენს..... ერთეულს
(კლასის დასახელება)

..... კლასის განთავსებული წილების რაოდენობა შეადგენს..... ერთეულს
(კლასის დასახელება)

არსებობის შემთხვევაში განთავსებული წილების ნომინალური ღირებულება

წილის ნომინალური ღირებულება უნდა განისაზღვროს ერთეული წილის მიმართ და უნდა იყოს გამოხატული ფულად ერთეულში.

წილების ნომინალური ღირებულება უნდა განისაზღვროს თითოეული კლასის წილთან მიმართებით, თუ განსხვავებული კლასის წილები არსებობს

ერთი წილის ნომინალური ღირებულება(კლასის არ მქონე წილისთვის) შეადგენს ლარს

წილთა კლასების არსებობის შემთხვევაში განთავსებული წილების ნომინალური ღირებულება

..... კლასის ერთი წილის ნომინალური ღირებულება შეადგენს ლარს
(კლასის დასახელება)

..... კლასის ერთი წილის ნომინალური ღირებულება შეადგენს ლარს
(კლასის დასახელება)

*** პარტნიორები და პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა განთავსებულ კაპიტალში**

N	პარტნიორი/პარტნიორები * ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი (შემდეგში: საიდენტიფიკაციო მონაცემები)	წილის ოდენობა * უნდა მიეთითოს მთელი რიცხვი (ერთეულები)	პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა განთავსებულ კაპიტალში * უნდა მიეთითოს პროცენტი
1	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, საიდენტიფიკაციო კოდი:246762061, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა მ. კოსტავას ქ. №3	100	100 %
2			
3			

ნებადართული წილების რაოდენობა არის ერთეული (არსებობის შემთხვევაში)

ნებადართული წილი არის წილთა მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად შესაძლოა მომავალში იქნეს გამოშვებული და განთავსებული. აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეთითოს თითოეული კლასის წილთან მიმართებით, თუ განსხვავებული კლასის წილები არსებობს. ნებადართული წილის რაოდენობა გამოხატული უნდა იყოს მთელი რიცხვით

წილთა კლასების არსებობის შემთხვევაში ნებადართული წილების რაოდენობა

..... კლასის ნებადართული წილების რაოდენობა არის..... ერთეული
(კლასის დასახელება)

..... კლასის ნებადართული წილების რაოდენობა არის..... ერთეული
(კლასის დასახელება)

არსებობის შემთხვევაში ნებადართულ წილთა კლასები

..... კლასი
(კლასის დასახელება)

..... კლასი
(კლასის დასახელება)

ნებადართული წილების ნომინალური ღირებულება არსებობის შემთხვევაში

წილის ნომინალური ღირებულება უნდა განისაზღვროს ერთეული წილის მიმართ და გამოხატული უნდა იყოს ფულად ერთეულში. აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეთითოს თითოეული კლასის წილთან მიმართებით, თუ განსხვავებული კლასის წილები არსებობს

ერთი წილის ნომინალური ღირებულება (კლასის არ მქონე წილისთვის) არის ლარი

წილთა კლასების არსებობის შემთხვევაში

..... კლასის ერთი წილის ნომინალური ღირებულება არის ლარი
(კლასის დასახელება)

..... კლასის ერთი წილის ნომინალური ღირებულება არის ლარი
(კლასის დასახელება)

გამოშვებული წილების რაოდენობა არის ერთეული (არსებობის შემთხვევაში)

გამოხატული უნდა იყოს მთელი რიცხვით. აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეთითოს თითოეული კლასის წილთან მიმართებით, თუ განსხვავებული კლასის წილები არსებობს

წილთა კლასების არსებობის შემთხვევაში

..... კლასის გამოშვებული წილების რაოდენობა არის ერთეული
(კლასის დასახელება)

..... კლასის გამოშვებული წილების რაოდენობა არის ერთეული
(კლასის დასახელება)

გამოშვებული წილების ნომინალური ღირებულება (არსებობის შემთხვევაში)

წილის ნომინალური ღირებულება უნდა განისაზღვროს ერთეული წილის მიმართ და გამოხატული უნდა იყოს ფულად ერთეულში. აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეთითოს თითოეული კლასის წილთან მიმართებით, თუ განსხვავებული კლასის წილები არსებობს

ერთი წილის ნომინალური ღირებულება (კლასის არ მქონე წილისთვის) არის ლარი

წილთა კლასების არსებობის შემთხვევაში

..... კლასის ერთი წილის ნომინალური ღირებულება არის ლარი
(კლასის დასახელება)

..... კლასის ერთი წილის ნომინალური ღირებულება არის ლარი
(კლასის დასახელება)

გამოშვებული წილების განთავსების შემთხვევაში, კაპიტალში არსებული პარტნიორთა წილების და პროცენტული მონაწილეობის ხელახალი გადანაწილება:

N	პარტნიორი/პარტნიორები * საიდენტიფიკაციო მონაცემები	წილის ოდენობა * გამოხატული მთელი რიცხვით (ერთეულები)	პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა განთავსებულ კაპიტალში * გამოხატული პროცენტებით
1			
2			
3			

ხელმძღვანელი ორგანო - დირექტორი

ხელმძღვანელი ორგანოს დასახელება (მაგ. დირექტორი, დირექტორატი, დირექტორთა საბჭო, პრეზიდიუმი და სხვა)

*ხელმძღვანელი ორგანოს წევრი/წევრები

ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი; უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია).

სულხან ჯიჯავაძე, პ/ნ-61008003946, ქედის მუნიციპალიტეტი, დ. ქედა ი.ჭავჭავაძის ქ. N 9 ბ. 4

*ხელმძღვანელი ორგანოს წევრების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები

უნდა მიეთითოს წევრები ერთობლივად (ერთად) წარმოადგენენ საზოგადოებას, თუ ერთპიროვნულად (ცალ-ცალკე). თუ ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს აქვთ განსხვავებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, უნდა მიეთითოს თითოეული წევრის უფლებამოსილება.

დირექტორი ერთპიროვნულად ხელმძღვანელობს და წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში

* სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი

რამდენიმე ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის არსებობის შემთხვევაში უნდა მიეთითოს მხოლოდ ერთი პირი

სულხან ჯიჯავაძე, პ/ნ-61008003946

* სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი

betlemikeda@gmail.com

(ელექტრონული ფოსტა)

+ 995 557 50 13 13

(საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორის მობილური ტელეფონის ნომერი)

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში უნდა მიეთითოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა და საბჭოს წევრები

სამეთვალყურეოს საბჭო შედგება წევრისგან

(რაოდენობა)

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი; უფლებამოსილების ვადა, თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია.

1.

2.

3.

სხვა მმართველი ორგანო

(არსებობის შემთხვევაში)

(მმართველი ორგანოს დასახელება)

..... წევრები

(მმართველი ორგანოს დასახელება)

(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია))

1.

2.

არსებობის შემთხვევაში გენერალური სავაჭრო წარმომადგენელი/პროკურისტი

(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი -ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია))

.....

არსებობის შემთხვევაში პარტნიორის წილის მმართველი

(უნდა მიეთითოს პარტნიორის საიდენტიფიკაციო მონაცემები, სამართავი წილის ოდენობა და წილის მმართველი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი) -არსებობის შემთხვევაში

დანართი:

დამფუძნებლების/პარტნიორების მიერ შემუშავებული სამეწარმეო საზოგადოების წესდება, რომელიც წარმოადგენს სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდი ბერიძე

პარტნიორი/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

ხელმოწერა

თარიღი: 04/04/2025 წელი.

PIHA LLC

hello.piha@hotmail.com

445 809 714

Georgia, Batumi, Giorgi Leonidze ST., N 2d, Building N122

ქედის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ მამუკა თურმანიძეს

January 21st 2026

ბატონო მამუკა;

მოგასხენებთ რომ ჩვენი კომპანია შპს „პიჰა“ (LLC „PIHA“) (ს/კ 445809714) დაინტერესებულია საკუთრების უფლებით აიღოს საფეხბურთო კლუბი „ბეთლემი“ : თქვენი თანხმობის შემთხვევაში მზად ვართ

1) კლუბში განვახორციელოთ ყოველწლიური ინვესტირება - ინვესტიციის მოცულობა განისაზღვრება კლუბის ფუნქციონირებისათვის საჭირო თანხის შესაბამისად

2) ეტაპობრივად მოხდეს კლუბის აღზევა ლიგა 2-სა და ლიგა 1-ში

3) განვითარდეს ბავშვთა საფეხბურთო სკოლა - მოხდება ასაკობრივ გუნდებში ჩასარიცხ ბავშვთა შერჩევა / კემპი, ბავშვთა ასაკობრივი გუნდების მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება

4) კლუბში დაინერგოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მართვის სტრუქტურა

5) მოწვეული იქნას პროფესინალი ფეხბურთელები და მწვრთნელები

6) კლუბმა ყოველწლიურად გაიაროს როგორც სფფ-ს ისე უეფას საკლუბო ლიცენზირების პროცესი

7) ჩვენი მიზანია ქედის მუნიციპალიტეტში არა მხოლოდ სპორტული არამედ სოციალური აქტივობების დანერგვა, ჯანსაღი გარემოს შექმნა

8) მთავარი პრიორიტეტი იქნება ბავშვთა ფეხბურთის განვითარება, რათა შემდგომში პროფესიონალი ფეხბურთელი მივანოდოთ როგორც „ბეთლემს“, ასევე ასაკობრივ და ეროვნულ ნაკრებს

PIHA LLC

hello.piha@hotmail.com

445 809 714

Georgia, Batumi, Giorgi Leonidze ST., N 2d, Building N122

ქედის მუნიციპალიტეტის მერს

მამუკა თურმანიძე

9) ჩვენი კლუბში მოღვაწეობის პერიოდში კლუბი არ შეიცვლის სახელს, ასევე საშინაო მატჩებს გავმართავთ ქედაში, გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ ის გარემოება თუკი ქედის „არჩილ ფარტენაძი“-ს სახელობის ცენტრალური სტადიონი ვერ დააკმაყოფილებს სფფ მოთხოვნებს, ასეთ შემთხვევაში კლუბი საშინაო მატჩებს გამართავს ქალაქ ბათუმში.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით თქვენი მხრიდან თანხმობის შემთხვევაში გთხოვთ:

1) კლუბი გადმოგვცეთ საკუთრებაში

2) ქედის არჩილ ფარტენაძის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე დაგვრთოდ ნება უფასოდ ჩავატაროდ საშინაო მატჩები და წარვმართოდ გუნდის სავარჯიშო პროცესი

პატივისცემით

შპს „პიჰა“-ს დირექტორი

ლისა მარიონ ბოულანგერი , პ.ნ. 22CA76282 , საფრანგეთის მოქალაქე

PIHA LLC





ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2026 წლის -- მარტი
დაბა ქედა

ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსით (M3 კატეგორია) მგზავრთა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსის მოძრაობის მარშრუტების, სამგზავრო ტარიფებისა და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1

განისაზღვროს ქედის მუნიციპალური ავტობუსის (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების და ავტობუსით მგზავრთა გადაყვანის ტარიფები შემდეგი ოდენობით:

მარშრუტის №	ავტობუსის (M3 კატეგორია) მარშრუტები	მარშრუტის უკუმინიმალულება	ავტობუსის (M3 კატეგორია) ყოველდღიური რაოდენობა	სტანდარტული მგზავრობის საფასური (ტარიფი) ლარი	ნულოვანი ტარიფით მგზავრობის საფასური ლარი	შენიშვნა
77	ქედის მუნიციპალიტეტის დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული, ქ. ბათუმი	იგივე	1	4.00	უფასო	ქედის მუნიციპალიტეტის საზღვრებში და მის გარეთ ავტობუსის გაჩერება მოხდეს მგზავრის მოთხოვნის მიხედვით
	ქედის მუნიციპალიტეტის ცხმორისის, წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული, ქ. ბათუმი	იგივე	1	3,50	უფასო	

ქედის მუნიციპალიტეტის ზვარეს, დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული, ქ. ბათუმი	იგივე	1	3.00	უფასო
ქედის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის, მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული, ქ. ბათუმი	იგივე	1	2,50	უფასო
ქედის მუნიციპალიტეტის დოლოგნის ადმინისტრაციული ერთეული, ქ. ბათუმი	იგივე	1	2.00	უფასო

მუხლი 2

1. გადახდის შესაძლებლობა განისაზღვრება ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორების სახით შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს მიერ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

2. მგზავრობისას შეღავათიანი ან ნულოვანი ტარიფით სარგებლობისას, სავალდებულოა გამოყენებულ იქნეს ქედის მუნიციპალიტეტის ან მის მიერ უფლებამოსილი სუბიექტის მიერ გაცემული ბარათი ან/და გადახდის სხვა საშუალება, რომელზეც დაშვებულია შეღავათიანი ან ნულოვანი ტარიფით სარგებლობა. ქედის მუნიციპალიტეტის ან მის მიერ უფლებამოსილი სუბიექტის მიერ გაცემულ მატერიალურ ბარათ(ებ)ზე, რომელიც გამოიყენება მხოლოდ მგზავრობის საფასურის გადახდის მიზნებისთვის და რომელზეც დაშვებულია მგზავრობის შეღავათიანი ან ნულოვანი ტარიფით სარგებლობა, აუცილებლად უნდა იყოს დატანილი მისი მფლობელის სახელი, გვარი და პირადი ნომერი.

მუხლი 3

1. ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრობაზე დაწესდეს შეღავათები და მგზავრობის საფასურის გადახდისგან გათავისუფლდნენ ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული:

ა) საჯარო სკოლის მოსწავლეები;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

გ) მე-2 მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;

დ) ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები;

ე) 6 წლამდე ასაკის ბავშვები. (შენიშვნა: ამ კატეგორიის მგზავრობისთვის აუცილებელი არ არის სამგზავრო ბარათის ქონა).

მუხლი 4

ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის გადახდის სისტემას ნერგავს და ამ განკარგულებით განსაზღვრული სამგზავრო ტარიფების, ასევე ფასდაკლების სისტემის მგზავრობის საფასურის მოკრებას უზრუნველყოფს შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“ (ს/ნ:246754150) მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი სუბიექტი (ან მისი ქვეკონტრაქტორი). ამ პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“ უფლებამოსილია დადოს ხელშეკრულება (შემდგომში - ხელშეკრულება) ნებისმიერ მესამე პირთან, რომელიც გაწევს აღნიშნულ მომსახურებას უშუალოდ ან/და ნებისმიერ მესამე პირის მეშვეობით (შემდგომში ერთობლივად - კონტრაქტორი). შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“ ასევე უზრუნველყოფს, ამ განკარგულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული მგზავრობისთვის, თავად ან მის მიერ უფლებამოსილი სუბიექტის/კონტრაქტორის მეშვეობით მატერიალური სამგზავრო ბარათების დამზადებასა და გაცემას.

მუხლი 5

ამ განკარგულებით განსაზღვრული კატეგორიებით მოსარგებლე პირების მიმართ გასაცემი შესაბამისი სამგზავრო ბარათის გაცემის აუცილებელ გარემოებას წარმოადგენს მონაცემთა ბაზები, რომელთა მიმართაც უნდა ჰქონდეს წვდომა მერიას, შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს ან/და შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ სუბიექტს (ან მის კონტრაქტორს).

მუხლი 6

ამ განკარგულებით განსაზღვრული კატეგორიების მონაცემთა ბაზის განახლების მიზნით მერიისთვის და შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-სთვის (ან/და მისი კონტრაქტორისათვის) არანაკლებ თვეში ერთხელ, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა ეთხოვით შემდეგ სუბიექტებს:

ა) ამ განკარგულების მე-3 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით დადგენილი კატეგორიის მქონე პირებთან დაკავშირებით - სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ ან/და სოციალური მომსახურების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალს;

ბ) ამ განკარგულების მე-3 მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტითა განსაზღვრული კატეგორიის მქონე პირებთან დაკავშირებით – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.

მუხლი 7

ამ განკარგულების მე-6 მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის გაცვლა შესაბამის სუბიექტებს შორის განხორციელდება მათ შორის შეთანხმებული ფორმით და პირობებით.

მუხლი 8

შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი სუბიექტი (ან მისი ქვეკონტრაქტორი) შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს მოთხოვნის მიღებისთანავე (მაგრამ არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა) ბარათის დაბლოკვას ან უფასო და შეღავათიანი ტარიფით მგზავრობის უფლების გაუქმებას. ამასთან, დაუშვებელია ამ განკარგულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული კატეგორიის პირებისთვის ბარათის ან/და გადახდის სხვა საშუალების ჩამორთმევა.

მუხლი 9

სამგზავრო ბარათის გაცემის, აღდგენის, დაბლოკვის, განბლოკვის და ბარათთან დაკავშირებულ სხვა პირობებს განსაზღვრავს შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“, მის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ სუბიექტთან (ან მის კონტრაქტორთან) შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 10

შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“ ყოველი თვის დამთავრებიდან არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა, მერიას წარუდგინოს ინფორმაცია ამ განკარგულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული კატეგორიების მიხედვით უფასო (ნულოვანი) და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე ფაქტობრივად გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის შესახებ.

მუხლი 11

ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ, შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს, მიერ ამ დადგენილების მე-10 მუხლის შესაბამისად წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, უზრუნველყოს შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოსთვის უფასო მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ტარიფის სტანდარტული ოდენობის შესავსებად თანხების ანაზღაურება.

მუხლი 12

განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

მუხლი 13

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარისათვის გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

მუხლი 14

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

ამირან ცინცაძე

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუს(ებ)ით (M3 კატეგორია) მგზავრთა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსის მოძრაობის მარშრუტების, სამგზავრო ტარიფებისა და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „სავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილების საფუძველზე „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუს(ებ)ით (M3 კატეგორია) მგზავრთა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსის მოძრაობის მარშრუტების, სამგზავრო ტარიფებისა და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის საკითხების მოწესრიგება. სწორედ ამ მიზეზით ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შესაბამისი მოთხოვნით, სამართლებრივი აქტის - საკრებულოს განკარგულების პროექტით და თანდართული საქმის მასალებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია - გაცნობებთ, რომ 2024 წელს მუნიციპალური ხარჯებით შეძენილი იქნა ერთი ერთეული ავტობუსი (ISUZU NOVOCITI BUS) სახელმწიფო ნომრით RL-628-RL. რომელიც 5 წლის ვადით, თხოვების ფორმით გადაეცა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციას - შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია მუნიციპალიტეტი. აღნიშნულ ორგანიზაციას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მიღებულია აქვს ლიცენზია მგზავრთა გადაყვანის საქმიანობის განხორციელების მიზნით და მომსახურებას უწევს მგზავრებს ქედა-ბათუმის მიმართულებით და პირიქით. შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს დირექცია ითხოვს, მგზავრთა გადაყვანის მოქმედი ტარიფების დამტკიცებასთან და ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების გარკვეული ჯგუფებისთვის, კერძოდ: საჯარო სკოლის მოსწავლეების, სტუდენტების, მე-2 მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფასო მგზავრობასთან დაკავშირებით საკითხის საკრებულოზე განხილვას, შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტის მიღების მიზნით.

ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით, მიზანშეწონილია ავტობუსის მოძრაობის მარშრუტები, მგზავრობის ტარიფები და ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფებისთვის, უფასო

მგზავრობასთან დაკავშირებით საკითხები დამტკიცებული იქნას ინდივიდუალური აქტის სახით საკრებულოს მიერ.

(იხ. თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც განკარგულების პროექტს თან ერთვის).

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების მიღება, რომლის საფუძველზეც დგინდება ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუს(ებ)ით (M3 კატეგორია) მგზავრობა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსის მოძრაობის მარშრუტები, სამგზავრო ტარიფები და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის საკითხები.

თუ, როგორც წესრიგდება დაწვრილებით დასახელებული საკითხები იხ. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა დროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი გულადი წითელაძე და შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს დირექტორი მალხაზ დიასამიძე.

ე) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთა
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B25015809, 07/02/2025 17:31:58

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	246754150
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	02/04-36; 12/01/2001
მარეგისტრირებელი ორგანო:	რაი.სასამართლო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქედის რაიონი, დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა, N13

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის
მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- საერთო ვრება
- დირექტორი

ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა

- დირექტორი
მაღხაზ დიასამიძე, 61008007121 ,ერთპიროვნული

კაპიტალი

ნებადართული კაპიტალი	არ არის განსაზღვრული
განთავსებული კაპიტალი	არ არის განსაზღვრული
გამოშვებული წილი	არ არის განსაზღვრული
განთავსებული წილი	100 ერთეული

პარტნიორები

კლასის ტიპი: /კლასის გარეშე/ , რაოდენობა:100, ნომინალური ღირებულება:არ არის განსაზღვრული

მესაკუთრე	რაოდენობა	წილი	წილის მმართველი
ქედის მუნიციპალიტეტი, 246762061	100	100%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახდი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის

სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;

- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405 405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405 405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405 405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტრო სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA
LEPL LAND TRANSPORT AGENCY

საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის
FOR ROAD PASSENGER TRANSPORTATION

ნებართვა №002580
PERMIT

ეს ნებართვა ადასტურებს, რომ მის მფლობელს უფლება აქვს განახორციელოს შემდეგი სახის საავტომობილო სამგზავრო გადაყვანა:

THIS PERMIT CONFIRMS THAT ITS HOLDER HAS THE RIGHT TO CARRY OUT THE FOLLOWING TYPES OF ROAD PASSENGER TRANSPORTATION:

- საერთაშორისო რეგულარული / International regular
- საერთაშორისო არარეგულარული / International irregular
- ქვეყნის შიდა რეგულარული / Domestic regular

ნებართვის მფლობელი შპს ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო
PERMIT HOLDER

მისამართი საქართველო, ქედის რაიონი, დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა, N13
ADDRESS

საიდენტიფიკაციო ნომერი 246754150
IDENTIFICATION NUMBER

გაცემის თარიღი 20-11-2025 მოქმედების ვადა from 20-11-2025 დან
DATE OF ISSUE TERM OF VALIDITY to 20-11-2028 მდე

ამ ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია განახორციელოს:

>ზემოთ მონიშნული სახის საავტომობილო სამგზავრო გადაყვანა.

>ნებადართული საერთაშორისო სამგზავრო გადაყვანა საქართველოს და პარტნიორ ქვეყანას შორის წინასწარ შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

The holder of this permit is authorized to carry out:

>Only the road passenger transportation of the type indicated above.

>Allowed international road passenger transportation between Georgia and the partner country in accordance with pre-agreed conditions.

სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
LEPL- LAND TRANSPORT AGENCY



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № --

2026 წლის -- მარტი

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის II კვარტლის
სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმა თანახმად დანართი №1-სა.
2. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებმა უზრუნველყონ სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესწავლა და მომზადება დადგენილ ვადაში.
3. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
4. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალამემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმა

№	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	განხილვის თარიღი	საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე	საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე	პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე
1	2025 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენა-განხილვა	აპრილი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების განყოფილების უფროსი
2	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის 2025 წლის ანგარიშის მოსმენა-განხილვა	აპრილი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის უფროსი
3	შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა-განხილვა	აპრილი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს დირექტორი
4	ა(ა)იპ „ქედის კულტურის ცენტრი“-ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	მაისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ა(ა)იპ „ქედის კულტურის ცენტრი“-ს დირექტორი
5	ა(ა)იპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა-განხილვა	მაისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ა(ა)იპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს დირექტორი

6	შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“- ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	ივნისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“- ს დირექტორი
7	შპს „საფეხბურთო კლუბი ქედა“ - ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	ივნისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს „საფეხბურთო კლუბი ქედა“ - ს დირექტორი